პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 229 (18771) ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.



საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს

მადლობა შენდა, გზაო ხსოვნისა, გზაო — ძეგლო!



სურათებზე: ზემოდან — მაქსიმ გორკის ძეგლის გახსნა ფასანაურში; მიხეილ ლერმონტოვის ძეგლი; „თერგდალეულთა“ მემორიალი დარიალის ხეობაში; პანო ჯვრის უღელტეხილზე.

ტალანტების დღესასწაულით, მაღალი ხელოვნების ზეიმით, შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობდა საქართველო მთელი ამ დღეების განმავლობაში. საბჭოთა რუსეთის, მისი შესანიშნავი ადამიანების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ დიდებული მოთხრობა გახდა რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები — ბრწყინვალე კონცერტები, გამოფენათა დიდებული ექსპოზიციები, დაუვიწყარი შემოქმედებითი შეხვედრები.

განთქმულმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა, საქვეყნოდ ცნობილმა ლიტერატორებმა, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ოსტატებმა, რომელნიც საბჭოთა კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, არა მარტო დაგვანახვეს რუსეთის შემოქმედებითი გენიის დაუშრეტელი საგანძურის მკაფიო პანორამა, არამედ ახალი ძალით დაადასტურეს, თუ რა ურღვევი ძური კავშირი, რა ფართო და ამოუწურავი რუსული გულის სიუხვე, გამოიჩინეს მშრომელი ინტელიგენტი ჩვენი ხალხის სულიერი ღირებულებებისა და შრომითი მიღწევებისადმი, მის მისწრაფებებთან წილნაყარობა, რამაც რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები გადააქცია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად რესპუბლიკის ცხოვრებაში. გულითადი მადლობა ამისათვის!

მადლიერების ყველაზე კეთილი სიტყვებით მივმართავთ რუსეთის სფსრ წარმომადგენლობითს დელეგაციას, რომელმაც თავისი მონაწილეობით დაამშვენა მეგობრობისა და ძმობის ეს შთამბეჭდავი დღესასწაული.

ჩვენს მეგობრობას აეისკროვნებს რუსეთისა და საქართველოს შვილების დიადი სახელები. ერთიანობის, ურთიერთგამდიდრების ფასდაუდებელი ტრადიციები მტკიცდება, ვითარდება, ახალ-ახალ მასშტაბს იძენს. ამის ერთ-ერთი დამაჯერებელი დადასტურება ახლანდელი მოვლენა. და კანონზომიერია, რომ იგი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიული მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულის საზეიმო პროლოგი.

მოხარული ვართ, რომ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ესოდენ ვრცელი პროგრამის მიუხედავად, შეძლეს კიდევ უფრო ახლო გახადონოდნენ ჩვენს რესპუბლიკას, შეეგრძნოთ მისი შრომითი რიტმი, საქმიანი განწყობილება და დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და ჩვენი დიდი საშობლოს ძლიერების განმტკიცება.

მადლიერი საქართველო — მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს უსურვებენ შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს სამშობლოს სადიდებლად, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხალხთა მსატვრულ აღმოჩენათა უმდიდრესი საუნჯე, საბჭოთა ხელოვნების მთელი მრავალფეროვნება და მრავალმხიანობა, ერთიანდება მძლავრ სიმღერად აღმშენებლობისა და მშვიდობის შესახებ. იმის საჭიროება, რომ გავამაგროთ ჩვენი პოზიციები მშვიდობის განმტკიცების საკითხებში, რომელიც ასეთი დამაჯერებლობითა და ძალით არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, დღეს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მთელი ჩვენი მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენლთა კეთილმობიერებას მისიას, ხალხთა ურთიერთგაგების დამკვიდრებას რომ ისახავს მიზნად.

ასეთია სახელოვანი საბჭოთა ტრადიცია, რომ ჩვენი დღესასწაულებიც ხელს უწყობს საერთო საქმეს, გვრაზმავს, უფრო თვალსაჩინოს ხდის ჩვენს წარმატებებს, გვმატებს მხნეობასა და ენთუზიაზმს მომავალი მიღწევებისათვის, და, როგორც შესანიშნავმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა თქვა, გულიდან გულამდე აგებს ჩვენი დიადი მეგობრობის ხიდს!

ურყევია ჩვენი ერთიანობის თვით ისტორიის შექმნილი, ერთიანი და თანასწორი ხალხების ინტერნაციონალური კავშირისათვის ლენინური ზრუნვით შედუღაბებული, საბჭოთა ადამიანების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობით ნაწრთობი ამ ხიდის საძირკველი. და წმინდად ვიცავთ იმის ხსოვნას, რომ გზა ამ ხიდზე დიდმა რუსმა ხალხმა გაკვალა.

ყოველი ახალი დღე მკაფიო ფურცელს წერს ძმობის მატიანეში. წითელ სტრიქონად აღიბეჭდება მასში ჩვენი საერთო დღესასწაულის, ცხოველმყოფელი და ყოველისმძლე ერთიანობის დღესასწაულ-სიმბოლოს ეს დაუვიწყარი დღეებიც.

საბჭოთა საქართველოს ყველა შრომელის სახელით ერთხელ კიდევ გულითად მადლობას მოვახსენებთ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს — შემოქმედებითი კავშირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მხატვრულ კოლექტივებს და მაეს ხელმძღვანელებს, კომპოზიტორებსა და დირიჟორებს, ყველა შემსრულებელს — ბალეტის მსახიობებს, ვოკალისტებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, რომლებმაც ეს ნათელი დღესასწაული გვაჩუქეს.

დე, მარად იმარჯვებდეს და კიდევ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების ძმობა, რომლებიც გულდაჯერებით აშენებენ მშვიდობასა და ბედნიერებას ლენინიზმის დიადი დროშით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მუშაობისათვის, ბირთვული მუქარის წინააღმდეგ

ჩვენ ხმას ვუერთებთ

დიდი ინტერესით გაეცნენ საქართველოს მეცნიერები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას. ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტში, რომელიც ეხმიანება პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანის ფიქრებს, ამომწურავად არის შეფასებული ვაშინგტონის უგუნური პოლიტიკა.

ბუნების საიდუმლოებათა დიადი ამმოჩენები, ყველა ქვეყნის მეცნიერთა გამოკვლევები უნდა ემსახურებოდეს მშვიდობისა და კაცობრიობის მომავალს. ეს გაცხადდა რესპუბლიკის მეცნიერებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გამართულ კრებაზე.

— ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, — თქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ი. ხარაძემ, — დიდი შეშფოთებით აღვიქვამთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოტენციალის არნახულ ზრდას, ყველა სახეობის იარაღის — ბირთვული, ქიმიური, ჩვეულებრივი იარაღის წარმოების ფართო მასშტაბის პროგრამებს. იმპერიალიზმის არსი იყო და კვლავ არის აგრესია.

მშვიდობის დასაცავად ქართველ მეცნიერთა აზრები და გრძნობები გამოხატეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტებმა გ. ჯიბლაძემ, ა. ფრანგიშვილმა, აკადემიკოსებმა შ. ძიძიგურმა, ლ. გაბუნიამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ხახუტაიშვილმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პროფკომის თავმჯდომარემ ვ. ახალაძემ.

გონს მოვგონ!..

თელავის რაიონის წარმოებადაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ხალხმრავალი კრებები, სადაც მუშები, კოლმეურნეები, რაიონის ინტელიგენცია ერთსულოვნად მხარს უჭერენ და საკუთარ გულისთქმად მიიჩნევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში გამოთქმულ დებულებებსა და დასკვნებს, გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ კურსს, აცხადებენ, რომ ზზად არიან გამალებული შეიარაღების აღსაკვეთად ბრძოლისათვის. თელავის უძველესი საწარმოს — ძიფსაღებსაძახავი ფაბრიკის მშრომელები შეიკრიბნენ ფაბრიკის კულტურის სახლში, რათა საჯაროდ გამოეთქვათ თავიანთი აზრი. მშრომელთა კრება შესავალი სიტყვით გახსნა ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანმა დ. ბედიანიშვილმა.

— ჩვენ ჯერაც არ მოგვიშუშებია შეორე მსოფლიო ომისაგან მოყენებული ჭრილობები, — თქვა სახარისხებელი საამქროს მუშამ ს. სტეფანოვამ. — ჰიტლერელთა მიერ თავს მოხვეული მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა ჩემი მეუღლე — შვილების მამა. ახლა კვლავ ახალი ომის მოლოდინში სურთ გვამყოფონ ოკეანისგაღმელ აგრესორებს. ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში გამოთქმულ დებულებებსა და დასკვნებში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ადამიანების ნებასა და სურვილს. ამატომაც ვხუთრავლად ვუჭერთ მხარს და ერთსულოვნად ვაცხადებთ — გონს მოეგონ მილიტარისტები, შეწყვიტონ გამალებული შეიარაღება, თორემ თვითონ ითხრიან საკუთარ სამარეს.

— მეორე მსოფლიო ომი როდ დაიწყო, ჩვიდმეტი წლისა გახლდით, — თქვა სახარისხებელი საამქროს მუშამ ბ. დანელაშვილმა, — მერე იყო ომი, მოვხედი ზის ქარცეცხლში. მხოლოდ ომის შემდეგ, დაგვიანებით მოვეკიდე ოჯახს. ჩემი უფროსი შვილი ახლა ოცი წლისაა, უკვე 40 წლისა უნდა მყოლოდა, პაპა გავმხდარიყავი. ფაშისტურმა გერმანიამ შეიარა ადამიანთა მომავლობა, და თვითონაც ისტორიის ჯართად იქცა. ეს უნდა გაითვალისწინოს აშერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა პრეზიდენტმაც. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას წინ ვერაფერი დაუდგება.

— თავიანთ გამოსვლებში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა დაგმეს სახარისხებელი საამქროს უფროსმა ნ. არსენიშვილმა, ფაბრიკის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ნ. ღუდუშაურმა, თავთავმა ინჟინერმა ლ. ბეგიშვილმა და სხვებმა.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მშვიდობა — ხალხებს

გაზეთი, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაა გამოქვეყნებული, ბრგაადის ბანაკში იმ დროს მოვიდა, როცა რადიო გადმოსცემდა ყოველი ჩვენგანის, თითოეული ოჯახის ხარისხიანი ცხოვრებისა და სასიხარულო ამბავს: ონჩაჩირის რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გადიდებული ვალდებულებანი.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის სიტყვები ღრმად ჩასწვდა გულში თითოეულ ჩვენგანს, იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა თანამიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხალხებს თავიდან აიცილოს თერმობირთვული ომის საფრთხე, ოკეანისგაღმელი მილიტარისტები არ ეშვებიან ლაბტის ქნევას.

ჩვენ, კომუნისტური საზოგადოების მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, ვერავინ, ვერასდროს და ვერაფრით ვერ შეგვაშინებს! ამაოდ იჭაჭებიან იმპერიალისტები, როცა ცდილობენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მომართული ხიირნაირი პროვოკაციებით ჩამოაშორონ ჩვენი ყურადღება მშვიდობისათვის ბრძოლას.

კ. თარბა,
ონჩაჩირის რაიონის მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი.

ბედნიერად რომ დაემთხვა საქართველოს საუკუნოვან მისწრაფებებს, ეს ცხა დღეს ასოციაციით უკავშირდება ხალხისათვის ძვირფას მრავალ ცნებას. ოდითგანვე ეს გზა, დიდი კავკასიონის ვიწროებზე რომ გადის, ქართველთ მიიჩნდათ მსოფლიო ასპარეზისაკენ, ხალხებისა და კაცობრიობის კულტურებისაკენ, უცხოელთა ჩამგვრისა და დამონებისაგან თავისუფლებისაკენ მიმავალ გზად. დღეს იგი რუს-ქართველთა ურთიერთობისა და კავშირის გეოგრაფია და ისტორია, მისი მთავარი პოლიტიკური და კულტურულ-სულიერი მაგისტრალია.

საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც უზადოდ ასრულებს თავის პასუხსაგებ მოვალეობებს, დღენაადაგ იხვეწება თანამედროვე საგზაო-სატრანსპორტო მოთხოვნების შესაბამისად, ყველა ჩვენგანისათვის კვლავაც არის გზა ჩვენს წინაპართა ძვირფასი ხსოვნისა, საქართველოს რუსეთისაკენ რომ გაუღეს კარი. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ მთელი თავისი მიმდინარეობითა და შინაარსით გამოკვეთა მისი მნიშვნელობა. და ენერგიული მოქმედების სურვილი აღუძრა საერთო მიზნით შთაგონებულ მრავალ ადამიანს, მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ნაგებობებით გაამდიდრა საქართველოს სამხედრო გზა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების პროგრამამ მათ მონაწილეებს მოუხმო მაგისტრალისაკენ, რომელიც ხალხის ხსოვნაში გაიგივებულია საქართველოსა და რუსეთის ერთიანული კულტურების გენიოსთა სახელებთან, ხალხთა ძმობის თვით იდეასთან. და როგორც აძის სიმბოლო — გზის ორი დასაწყისი. ორჯონიკიძესა და თბილისში მდებარე მოედნებიდან, რომლებიც დიდი ლენინის სახელს ატარებენ, დასასრული კი ამ გზას არა აქვს. იგი, მთებში გაყვანილი, გადის ხალხთა ცხოვრების წლებში, მეგობრობისადმი, თანამშრომლობისადმი შეფიცული ადამიანების გულებში.

1983 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამხედრო გზის მემორიალური კომპლექსის გახსნასა და დათვალიერებაში.

მემორიალი „თერგდალეულნი“

88-ე კილომეტრზე, სადაც ჩრდილოეთიდან მომავალი გზა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შემოდის, აღმართულია დიდი სკულპტურული კომპოზიცია „თერგდალეულნი“. ისტორიამ თერგდალეულნი უწოდა XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებმაც უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღეს და შშობლიური მიწა-წყლის სოციალური და ეროვნული განახლების გზად რუს ხალხთან მჭიდრო ერთიანობა მიანდეთ. დარიალის ხეობას ოდითგანვე „კავკასიის კარიბჭე“ ეწოდებოდა. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ აქ დაუდგეს ძეგლი იმათ, ვინც ფართოდ გაუღო კარი ჩრდილოეთიდან მონაბერ ქარებს, რომლებსაც თავისუფალი აზროვნებისა და პროგრესის იდეები მოჰქონდათ.

მოქანდაკეებმა კ. ტაბატაძემ და ჯ. თუშურაშვილმა, არქიტექტორებმა გ. აბულაძემ და დ. ახვლედიანმა შექმნეს მონუმენტური კომპოზიცია წითელი გრანიტით შესრულებული შვიდი ფიგურისაგან. საქართველოს პროგრესული აზრის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა იმ ადამიანთა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ, რომელთა სახეებს სიმბოლურად წარმოგვიდგენს ძეგლი: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ნიკო ნიკოლაძე... ქართველმა სამოციანელებმა პეტერბურგში გაიარეს საზოგადო მოღვაწეობის სკოლა, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რევოლუციონერ დემოკრატთა ბრწყინვალე პლეადასთან, რომლებსაც ნ. ჩერნიშევსკი ედგა სათავეში. ეხებოდა რა თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე წერდა: „ეს ოთხი წელი იყო ცხოვრების საძირკველი, ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხიდი, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... რუსულმა სკოლამ — შეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჭკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თითოეული ჩვენგანი... უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სუფლირი წყურვილის მოსაკლავად“.

და. აი, თერგდალეულთა მიერ სინათლესა და სიბნელეს შორის გადებული ხიდი შემდგომ თაობათა ბედში გახდა მშობლიური მიწის აყვავების მთავარი გეზი. თითოეული ქართველის გულში მათ ძიერ ჩანერგილმა აზრებმა კეთილი ნაყოფი გამოიღო. ისინი მოხვდნენ წინაპართა მიერ გაპობიერებულ მაღლიან მიწაში, რომლებმაც, როგორც აკაკი წერეთელი წერდა, დაუტოვეს ანდერძი შვილთაშვილებს: გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით. ეს ისტორიული გზა გეოგრაფიულ გზაზე წარმოდგენილია სოფელ გუდაურთან მეორე ძეგლის შემქმნელთა მიერ.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი კანონრამა

საქართველოს სამხედრო გზის უმაღლეს წერტილზე, 2300 მეტრზე მეტ სიმაღლეზე, სადაც მთების ვიწროები გზას უთმობს არაგვს, პეიზაჟის ბუნებრივ სილამაზეს ხელთქმნილი შშვენიერი პანო აგვირგვინებს. მის ცენტრშია დედა და შვილი — სიცოცხლის, მომავლის მარადიული სიმბოლო. პანოს ორთავე მხარეზეა რუსთა ჯარი და ქართველთა ჯარი, რომლებიც ისრებით გმირავენ ერთ ურჩხულს, საერთო მტერს, შემდეგ, თითქოს წრე შეკრესო, მხატვრებმა ნ. მალაზონიამ, ზ. ლეჟავამ, ზ. კაპანაძემ და არქიტექტორმა გ. ჩახავამ ხატოვნად წარმოსახეს ორი მომმე ხალხის კავშირის ორი საუკუნის მანძილზე გამოვლილი ისტორიული გზა.

ალუურ მდელოთა შემოდგომის პალიტრასაც კი ვერ ძალუძს მეტოქეობა გაუწიოს ამ პანოს სილამაზეს. საუკუნოვანი მეგობრობის ძეგლი სამარადჟამოდ არის შექმნილი. პანოს ავტორებმა ნ. კილაძის („კომუნისტი“), ა. რუხაძისა და ხ. ედიშერაშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტოები.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მხატვრული კოლექტივების — საქართველოს სს რესპუბლიკაში რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში წვლილისათვის და საქართველოს სს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ რსფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ შემდეგი მხატვრული კოლექტივები:

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სიმფონიური ორკესტრი;

სვერდლოვსკის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი;

სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“;

კრასნოიარსკის ციმბირის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი;

ა. ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული ხალხური გუნდი;

სახელმწიფო რუსული ხალხური ანსამბლი „როსია“;

ვლადიმირის ფილარმონიის სიმღერისა და ინსტრუმენტული, ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსი“;

იაროსლავლის სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ანსამბლი „ბაროკო“; როსკონცერტის არფების კვარტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 3 ოქტომბერი.

„თერგდალეულნი“

(მხატვარი — გ. ჯაფარიძე, არქიტექტორი — მ. გოგოშვილი).

მუშა ბრინჯაოზე ლაკონიური ისტორიული ცნობა: „ბრიგოლ ორბელიანი— გამოჩენილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი, რუსეთის მხედართმთავარი და საზოგადო მოღვაწე. იგი იყო საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის ინიციატორი და ხელმძღვანელი 1858-61 წლებში“. ბრონზოვით კამკამა წყაროს წყალი გრანიტის საფეხურებით მოედინებოდა. ოდითგანვე აქ ჩამოხდებოდა ხოლმე მგზავრი დასასვენებლად. მაგრამ როდენ შეიცვალა ის გზა, რომელსაც აქ მოვყავართ, რა გაბედულნი გახდნენ თავიანთ ფიქრებსა და საქმეებში ამ გზით მიმავალი ადამიანები!

ამ ადგილიდან ათობით კილომეტრზე იქმნება გრანდიოზული ხელოვნური „წყარო“ — ენინგალის კომპლექსური ჰიდროკვანძი, რომელიც ანკარა წყალს მიაწვდის თბილისსა და რუსთავს, დაარწყულებს ათასობით ჰექტარ მიწას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არტერია — საქართველოს სამხედრო გზა კვლავინდებურად ადამიანებს ემსახურება. ამ გზით საქართველოში მოდის მარცხვლეული ყუბანიდან და ლითონკონსტრუქციები — სტავროპოლის მხარიდან, რუსეთში იგზავნება ხილი და ბოსტნეული, სამენი მასალები. თხუთმეტი ათასზე მეტი მანქანა ერთდროულად მოძრაობს ტრასაზე გაცხოველებულ ზაფხულის პერიოდში და ამიერკავკასიის ჩრდილოეთთან აკავშირებს.

კავკასიის გზა გაცისკროვნებულია რუსეთისა და საქართველოს მრავალი დიდი შვილის სახელებით. მაგრამ არა მათი ლიტერატურული ბიოგრაფიის ქრონოლოგიამ, არამედ უფრო გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა მხატვართა ჩანაფიქრი, რომლებმაც იგი დაამშვენეს ლიტერატორებისა და საზოგადო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი ძეგლებით. ორი მდინარე იღებს სათავეს დიდი კავკასიონის მთებში: თერგი, რომელიც რუსეთში მიედინება, და არაგვი, საქართველოს ბარისაკენ რომ მოაგორებს თავის ტალღებს. და ისევე როგორც თერგდალეულნი — საქართველოს სამხედრო გზის ხედები. ახლა ისინი ექსპონირებულია თბილისში, გამოფენაზე „საქართველო რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებში“.

ლიტერატურული ისტორიის ლოგიკით არის შეხამებული საქართველოს სამხედრო გზის განახლებულ პანორამასთან

მაქსიმ გორკის ძეგლი

ზურგზე გადაგდებული შალდაკით, ჯოხზე დაყრდნობილი გამოსახა იგი მოქანდაკე ზ. კრაწამვილმა ფასანაურის შესასვლელთან. ასეთი იყო ახალგაზრდა ალექსი პეშკოვი, როცა ფეხით გამოიარა საქართველოს სამხედრო გზა და 1891 წელს მოვიდა თბილისში. იგი რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდა, როცა გაბეთ „კავკაზში“ დაბეჭდა მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, რომელსაც პირველად მოაწერა ახლა მთელ მსოფლიოში ცნობილი სახელი — მაქსიმ გორკი. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, 1898 წელს იმავე საქართველოს სამხედრო გზაზე შეუჩერებლივ მოქრიდა საყრობილის ეტლი, რომლითაც ნიჟნი ნოვგოროდში დაპატიმრებული პროლეტარული მწერალი ჩამოიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში. და კიდევ არაერთხელ დაბრუნებულა ამ გზით მაქსიმ გორკი თავის ლიტერატურულ სამშობლოში.

რესპუბლიკის მხატვართა და არქიტექტორთა ნიჭისა და შთაგონების, მისი მშრომელების მეცადინეობის მეოხებით, რომლებმაც საქართველოს სამხედრო გზის კეთილმოწყობა სახალხო მშენებლობად გამოაცხადეს, გზა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ქვის მატიანის ფურცლებად იქცა. გრანიტთა და ბრინჯაოთი აღბეჭდილია ნამბობი მათი კულტურების სულიერ ნათესაობაზე.

(დასასრული მე-8 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1983 წლის 2 ოქტომბერს 76 წლისა გარდაიცვალა ლენინური პარტიის ვეტერანი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი გენერალ-მაიორი

ივანე პავლეს ძე გაბალაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გადამდგარი გენერალ-მაიორის ი. პ. გაბალაშვილის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა მთავრობის კომისია საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ლ. ლ. ბარაშენძის თავმჯდომარეობით.

ი. პ. გაბალაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

4 ოქტომბერი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოში ოფიციალურ დოკუმენტად გაავრცელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადების ტექსტი, რომელიც საბჭოთა ადამიანებს, სხვა ხალხებსა და ყველას, ვინც პასუხს აგებს სახელმწიფოთა პოლიტიკის განსაზღვრისათვის, აცნობს, თუ როგორ აფასებს საბჭოთა ხელმძღვანელობა კურსს, რომელსაც საერთაშორისო საქმეებში ადგას ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია.

● ●

მოლაპარაკება განახლდა

ვენა. აქ განახლდა სსრ კავშირისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოლაპარაკება სააგენტოს კონტროლისადმი საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი მიზნებისათვის განკუთვნილი ბირთვული დანადგარების ნაწილის — ატომური ელექტროსადგურებისა და საკვლევი რეაქტორების დაქვემდებარების შესახებ.

ეს ინიციატივა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების მეორე სპეციალურ სესიაზე თავის გამოსვლაში წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ.

გამოუცხადებელი ომი გრძელდება

ქაბული. აქ ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისთვის გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის დროს გამოავლინეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ დასავლეთის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობის ახალი ფაქტები. როგორც ბახთარის საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმპერიალისტური წრეები, რომლებიც განაგრძობენ გამოუცხადებელ ომს დამოუკიდებელი ავღანეთის ხალხის წინააღმდეგ, აქტიურად იყენებენ პაკისტანის ტერიტორიიდან შეგზავნილ კონტრრევოლუციურ ბანდებს როგორც ავღანეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა გასაძარცვავად, ისე დასავლეთის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა სადაზვერვო საქმიანობის შესანიღბავადაც.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მომდინარე წლის ივლისში ფარვანის პროვინციის ბაგრამის მაზრაში მოხდა შეიარაღებული შეტაკება ერთ-ერთ ბანდასთან, რომელიც ჩრდილოეთ ავღანეთის ლაზურიტის საბადოებით ცნობილი ბადახშნის პროვინციიდან მოდიოდა. ბრძოლის შედეგად ხელთ იგდეს ქარავანი, რომელსაც გადაჰქონდა 2 ტონაზე მეტი ეს ძვირფასი ქვა, რომლის საერთო ღირებულება ორ მილიონ-ნახევარ დოლარს აღემატებოდა. მოკლულთა შორის აღმოაჩინეს ინგლისელი სტიუარტ ბოუდმენის გვამი. ნაპოვნ პირადობის მოწმობაში და სამედიცინო დოკუმენტებში ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი ბოუდმენი ცხოვრობდა პენტსის საგრაფოს ქალაქ ბდეი სინსტოუნში ბრიტენნროუდზე მდებარე № 10 სახლში. მას აღმოაჩნდა ფოტოაპარატები და კინოკამერები ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ჯარების დისლოკაციის შესახებ გადაღებული ფირებით. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული ტოპგრაფიული რუკები, საგზაო დღიური, სადაც აღნიშნულია მზვერავთა ჯგუფის საქმიანობა, რომელშიც, ბოუდმენის გარდა, შედიოდა დასავლეთის ქვეყნების კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი. ჯგუფი აღჭურვილი იყო ხელოვნური თანამგზავრების მეშვეობით კავშირის საშუალებებით, ინფორმაციის დასაშიფრავი კომპიუტერებით, ელექტრული, საათის და ქიმიური ამფეთქებლების მქონე ასფეთქებელ მოწყობილობათა და ნივთიერებათა დამზადების ინსტრუქციებით.

როგორც ბოუდმენის დოკუმენტებიდან ჩანს, შემდგომში ავღანეთის ტერიტორიაზე უნდა შემოეგზავნათ კიდევ ერთი ჯაშუშური ჯგუფი, რომელშიც დაგეგმული იყო ბრიტანეთის სპეცსამსახურების ოთხი თანამშრომლის — რობერტ მაკგინის, კრისს, სტეფან ზლუიკისა და ფილის შეყვანა. წერილებიდან, რომლებიც ბოუდმენს უპოვეს, ნათელი გახდა, რომ ჯაშუშური სპეცჯგუფები მოქმედებენ ინგლისისა და საფრანგეთის სამეფოებში ფირმების — ლონდონში ოფიციალურად რეგისტრირებული „გალფ ფიჩერს სერვისისა“ და საფრანგეთის „საერთაშორისო სამედიცინო დახმარების“ ნიღბით, რომელიც სავალოდ რამდენიმე თვის წინათ ავღანეთის ხელისუფალთა მიერ არის ამნისტირებული საფრანგეთის მოქალაქის ფ. ოგაიარის საქმესთან დაკავშირებით. ეს ჯგუფი იმედს ამყარებდა იმაზე, რომ მას აქტიურად შეუწყობდნენ ხელს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შიგნით მოქმედი კონტრრევოლუციონერი ნაძირალებისაგან ბოუდმენის მონაწილეობით შექმნილი დივერსიული ბანდები.

ავღანეთის ტერიტორიაზე უცხოელთა ჯაშუშური ჯგუფების „მიღების“ ორგანიზაციაში წამყვან როლს ასრულებდა ვინმე პანჯშერელი ალაუდინი. თავის ჩანაწერებში ბოუდმენმა „მაღალი შეფასება მისცა“ დახმარებას, რომელიც მას გაუწიეს ალაუდინმა და ტაჰერმა. ეს უკანასკნელი ჯგუფში თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. ალაუდინიც და ტაჰერიც, როგორც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებმა დაადგინეს, ეკუთვნოდნენ „ჯამიათე ისლამიე ავღანისტანის“ კონტრრევოლუციურ დაჯგუფებას, რომელიც სისხლიან ტერორს მიმართავდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ფოტოინფორმაცია

ლიბანი. ბეირუთის ნავსადგურის მახლობლად თავმოყრილი ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ხომალდებმა, კერძოდ, ატომურმა რაკეტულმა კრეისერმა „ვირჯინიამ“ და საესკადრო ნაღმოსანმა „ჯონ როჯერსმა“ დაუნდობელი ცეცხლი დაუშინეს ლიბანის ტერიტორიას.

სურათზე: ახობით ასეთი ხუთდიუმიანი, დიდი დამანგრეველი ძალის ჭურვი დაუშინეს ლიბანის ტერიტორიას ატომური რაკეტული კრეისერის „ვირჯინიის“ ქვემეხებმა.

ასოშიეიტედპრეს-საბჭოთა ტელეფოტო.

ლიბანი

ოკუპანტების ანექსიონიზმი

ბეირუთი. ისრაელი დამპყრობლები, რომლებმაც მოახდინეს ლიბანის ტერიტორიის თითქმის მესამედის ოკუპაცია, აქტიურად „ითვისებენ“ ქვეყნის სამხრეთს, აქცევენ რა მას უზარმაზარ გამაგრებულ რაიონად. ლიბანის გლეხებისათვის ჩამორთმეულ მიწებზე ინტერვენტები ქმნიან პოზიციებს, საფრებს, აეროდრომებს, ვერტმფრენავების მოედნებს, სამხედრო ბანაკებს, ყაზარმებს, სხვადასხვა საწყობების ფართო ქსელს. ბუნებრივ საზღვრად ქცეული მდინარე ავალის გასწვრივ აშენებენ მძლავრ საცეცხლე ზღუდეებს, ავლებენ მავთულხლართების ღობეებს, რომლებშიც ელექტრონაღარანიძეს თავის მოხსენებაში 7-8 პიროვნება ჰყავდა გასაკრიტიკებელი, რომლებიც თავისზე დაკისრებულ მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებენ. მათი გვარები მოხსენებაში კი ჰქონდა, მაგრამ საანგარიშო კრებაზე ისინი არ დაუსახელებია. კრების საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიონული კომიტეტისა და პრესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეტყობა, პარტბიუროს მდივანს „სიტუაციის გამწვავებისა“ შეეშინდა, გვარები არ დაასახელა და აქედან გამომდინარე კამათიც ერთგვარად განელდა.

კრების დაწყების წინ რამოდენიმე კომუნისტს ვთხოვეთ ეპასუხათ ერთ კითხვაზე: რის შესახებ აპირებთ საუბარს კრებაზე? აუცილებელია ჩვენი პარტიული ორგანიზაციის გაზრდა. საკმაოდ სოლიდურ სამმართველოში სულ 12 კომუნისტი ვართ, მაშინ როდესაც ჩვენი ათამდე ახალგაზრდა ნამდვილად ღირსია, სკკპ რიგებში იყოს. უთუოდ ვიტყვი იმასაც, რომ გვაკლია კვალიფიციური სპეციალისტები: ელექტროშემდუღებლები, ზეინკლები. ამისი ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ მშრომელებს საცხოვრებელი ბინებით ვერ ვაკმაყოფილებთ. აი, ახალგაზრდა ინჟინერი გ. წამალაიძე ჩვენი სამმართველოს წამყვანი სპეციალისტია. სულაც არ გავაზვიადებთ, თუ ვიტყვით: ეგ რომ აქედან წავიდეს, ძალიან გაგვიჭირდება. კარგი კაცია და ვერ მიდის, თორემ პედაგოგი მეუღლითა და ორი შვილით 15 კვადრატულ მეტრ ოთახში ცხოვრობს. კომუნისტი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საუკეთესო სპეციალისტი გ. წამალაიძე ნამდვილად ღირსია, რომ უკეთესი ბინა ჰქონდეს.

როდესაც საანგარიშო კრების წინ ამ დიალოგებს ვისმენდით ბუნებრივია, ვფიქრობდით, რომ კომუნისტების შემაჯამებელი საუბარი ერთობ საქმიანი და პრინციპული იქნებოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. ამ კომუნისტებმა, რაკიღა ერთხელ თქვეს, აღარც მერე დაუმალავთ სათქმელი, მაგრამ სხვებს აღარა უთქვამთ რა. ისინი პარტორგანიზაციის მდივნის მიერ არჩეულ არწყენინების მცდარ გზას გაჰყვნენ. მათ გამოსვლებში სადღაც გვერდით რჩებოდა განსჯა და ფიქრი მთავარზე, არსებითზე.

ყოველივე ეს სწორად შეაფასა მექანიკური მორწყვის სამმართველოს უფროსმა ჯ. აფხაიძემ. მან თავის გამოსვლაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის იარაღი მიიმარჯვა, დახატა ნათელი სურათი სამმართველოს კომუნისტების წინაშე მდგომი ამოცანების, სირთულეების, შეძლებისდაგვარად უკეთ შრომის გზებზე ილაპარაკა.

კომუნისტი ჯ. აფხაიძე სულ 5 თვეა, რაც სამმართველოს ჩაუდგა სათავეში. როგორც თვითონვე თქვა, მათ არაფერს არგებს ადრეულ საქმიანობაზე მსჯელობა. მთავარი მაინც ის არის, თუ რის შემძლენი არიან დღეს და რა ძალუძთ სახვალიოდ.

ფაქტი კი ფაქტად დარჩა: სამმართველო სათანადოდ არ იყო მომზადებული რწყვის სეზონისათვის. არც სისტემის ტექნიკური მდგომარეობა იყო სახარბიელო და არც სატუმბი სადგურების აღჭურვილობა. სუსტი იყო საწარმოო დისციპლინა. მოთხოვნებს არ პასუხობდა მელიორაციული და ჰიდრომელიორაციული სამსახური. ერთობ მოიკოჭლებდა ტრანსპორტისა და მექანიზმების ტექნიკური აღჭურვილობა. არეული იყო სამმართველოს სტრუქტურა. ინჟინრის თანამდებობაზე გაფორმებულნი იყვნენ სატუმბი სადგურის მემანქანეები, ზოგიერთი მხოლოდ 4 კლასის განათლებით იყო.

სამმართველოს არ გააჩნდა სარემონტო ბაზა, რომელიც 52 სტაციონარულ დანადგარს უნდა ემსახურებოდეს.

ყოველივე ამის გამო თავი იჩინა მრავალმა პრობლემამ. მაგალითად, მდინარე მტკვრის წყლის აღების პრობლემა თელეთისა და ფონიჭალის სატუმბო სადგურებისთვის, თბილისის ზღვის ლების საბრძოლო ხომალდების მონაწილეობით. წინა დღით 30-ზე მეტმა სამხედრო კატარღამ მოწყო სამხრეთ ლიბანის წყლებში წვრთნა, რომლის დროსაც საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ლიბანის თევზსაჭერ გემებსა და ნავებს და ამით საფრთხე შეუქმნეს ათობით ადამიანის სიცოცხლეს.

აქ აღნიშნავენ, რომ ლიბანის მიმართ თელ-ავივის პროვოკაციული მოქმედება, ისრაელ ინტერვენტთა ანექსიონისტური კურსი შეუძლებელი იქნებოდა ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას რომ არ უწევდეს ვაშინგტონი, რომელმაც განახორციელა პირდაპირი სამხედრო ჩარევა სუვერენული არაბული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

როგორც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელ მ აბუ მეიზარმა განაცხადა დამასკოში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა სახელმწიფოთა სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა ლიბანის მიწა-წყალზე და ლიბანის ნაპირებთან საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ მთელი არაბული სამყაროს უშიშროებას. იმპერიალისტები, ხაზი გაუსვა მან, ეშურებიან ლიბანის თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და ერთიანობას, ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას და სეიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელს მსოფლიოში.

ქართველი მუსიკოსების წარმატება

ბრატისლავა. აქ გამართულ სხერთაშორისო ფესტივალზე „ბრატისლავის მუსიკალური ზეიმი“ დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი. მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და სოლისტმა ლიანა ისაკაძემ ცხადყო იშვიათი ტემპერამენტი, როცა განსაცვიფრებლად და შემოქმედებითი მგზნებარებით გამოვიდა კონცერტზე, წერს ბრატისლავის გაზეთი „ვეჩერნიეი“, გაზეთები აგრეთვე აღნიშნავენ თბილისის ანსამბლის მაღალ მუსიკალურ კულტურას. ქართველი შემსრულებლების ბრწყინვალე ტექნიკას.

რეცენზიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიანა ისაკაძის ოსტატობას, რომელმაც, როგორც სოლისტმა ორკესტრთან ერთად შეასრულა მენდელსონ-ბარტოლდის სავიოლინო კონცერტი, იგი უკრავდა ეფექტურად და შთაგონებით, წერს გაზეთი. მან მოაჯადოვა მსმენელი, რომელმაც მჭუხარე ტაშით დაჯილდოვა ნიჭიერი სოლისტი. გაზეთი აღნიშნავს, რომ მსგავსი გამოსვლები ამაღლებს ფესტივალის მხატვრულ დონეს, მის კონცერტებზე იზიდავს ახალგაზრდა მსმენელებს.

● ინგლისი

ვაშინგტონის ლობისტის როლში

ლონდონი. პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც მან გამოავლინა თავი, როგორც პოლიტიკური ავანტიურიზმის მომხრემ, რომელიც მზადაა უსიტყვოდ დაუჭიროს მხარი ამერიკის ადმინისტრაციის უაღრესად საშიში მილიტარისტული გეგმების განხორციელებას. როგორც ინგლისის პრესა აღნიშნავს, პრეზიდენტ რ. რეიგანთან მისი მოლაპარაკება, აგრეთვე ამერიკის დედაქალაქში საჯარო გამოსვლები მიზნად ისახავდა ამერიკის შეერთეული შტატების იმ კურსის უსიტყვოდ დაცვას, რომელიც ითვალისწინებს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთულ საშუალებებთან დაკავშირებული პარიტეტის დარღვევას და ჟენევის მოლაპარაკების ბლოკირებას. შემთხვევითი არ არის, როგორც ხაზს უსვამს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“, რომ „ტეტჩერის ანტისაბჭოური რიტორიკა მოიწონეს ვაშინგტონში, რომელიც ლონდონს თავის ყველაზე ერთგულ და თანამიმდევრულ მომხრედ მიიჩნევს“. არსებითად მან იკისრა ვაშინგტონის ლობისტის როლი, მოსთხოვა რა დასავლეთ ევროპის სხვა მთავრობებს უსიტყვოდ და საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და მოსახლეობის მისწრაფებების საწინააღმდეგოდ „გამოიჩინონ სიმტკიცე“ და დასავლეთ ევროპაში განალაგონ ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები. ბიბი-სის ტელეკორპორაციის აზრით, მისი მოწოდება, კერძოდ, „მიჩნეულ უნდა იქნეს ბელგიისა და ჰოლანდიის მთავრობებისადმი, მიმართვად, რომლებიც ყოყმანობენ რაკეტების განლაგების საკითხში“.

ვაშინგტონში ტეტჩერის უხეში ანტიისაბჭოური გამოხდომები სასტიკად გააკრიტიკა დიდი ბრიტანეთის ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ. ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მოადგილემ დ. ჰილიმ ტეტჩერის გამონათქვამებს „დემაგოგიური“ და ხალხებს შორის „შიშისა და მტრობის ატმოსფეროს გამწვავებისათვის გამიზნული“ უწოდა. ამგვარი მოქმედება, მისი თქმით, „უაღრესად საშიშია,“ რადგან ისინი ამწვავებენ ურთიერთუნდობლობას და კონფრონტაციას. „მათი ნამდვილი მიზანია, — ხაზი გაუსვა დ. ჰილიმ, — ჟენევის მოლაპარაკების დატორპედება“.

დაიწყეს რაკეტების გადაგზავნა

ლონდონი. „შეერთებულმა შტატებმა დაიწყო პირით ფრთოსანი რაკეტების საიდუმლო გაგზავნა გრინემ-კომონის სამხედრო საპაერო ძალების ბაზაში“, — წერს დღეს ლონდონის „დეილი ტელეგრაფი“. იმოწმებს რა „საიმედო წყაროებს ვაშინგტონში“, გაზეთი იუწყება, რომ ამერიკის სატრანსპორტო თვითმფრინავები ამ ოპერაციას ახორციელებენ ღამით და მკაცრად გასაიდუმლოებულ ვითარებაში, რადგან ეშინიათ გრინემ-კომონის ბაზის კარიბჭესთან შექმნილი მშვიდობის ბანაკის მონაწილეთა ახალი საპროტესტო გამოსვლებისა. „დეილი ტელეგრაფის“ მონაცემებით უახლოეს რამდენიმე კვირაში ამ გზით ბაზაში მიიტანენ დაახლოებით 20 ფრთოსან რაკეტას.

როგორც ღღეს ბი-ბი-სის საინფორმაციო სამსახური იუწყება, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს თავმჯდომარე იძულებული იყო ეღიარებინა რომ გრინემ-კომონში უკვე მიტანილია სასტარტო პლატფორმები და ხდება მოწყობილობა, თუმცა ამასთან უარყოფდა აქ თავად ფრთოსანი რაკეტების გადაგზავნის ფაქტს.

მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ სულ რამდენიმე ღღის წინათ ბრიტანეთის სამხედრო უწყებამ უარი თქვა დაედასტურებინა ცნობები გამშვები დანადგარების კომპონენტების მიტანის შესახებ და გამოირიცხა შესაძლებლობა, რომ თავდაცვის სამინისტროს ახლანდელი „უარყოფა“ მიზნად ისახავს დააშოშმინოს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი და დაუმალოს ინგლისელებს ბრიტანეთის მოწა-წყალზე ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის ახალი თაობის განლაგებისათვის მზადების ნამდვილი მასშტაბი.

ამასთან დაკავშირებით აქ იხსენებენ, დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შპიგელის“ ამასწინანდელ ცნობას, რომ ამგვარი ოპერაციები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს.

ნორვეგიის სტორტინგის სესია

ოსლო. საზაფხულო არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა ნორვეგიის სტორტინგმა — ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. პარლამენტის 128-ე სესიის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნორვეგიის მეფემ ულაფ მეხუთემ განაცხადა, რომ მთავრობა თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია უშიშროების, დაძაბულობის შენელება და მშვიდობის უზრუნველყოფა. ნორვეგიის საგელმწიფოს მეთაურმა დაადასტურა, რომ მთავრობა კვლავაც უცვლელად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ხაზს. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ნორვეგიის საგარეო-პოლიტიკურ კურსსა და უშიშროების პოლიტიკას კვლავაც საფუძვლად დაედება მჭიდრო თანამშრომლობა ნატოში.

რ. ა. დემირხანოვი



მძიმე ხანგრძლივი ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, კომუნისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის लაურეატი, საქართველო ოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რაჩია არამის ძე დემირხანოვი.

რ. ა. დემირხანოვი დაიბადა 1914 წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

1937 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რ. ა. დემირხანოვის მეცნიერული მოღვაწეობის დაწყებითი პერიოდი მიმდინარეობდა ქალაქ ბაკოში, სადაც მან ფართო გამოკვლევები შეასრულა.

დიდი სამამულო ომის წლებში რ. ა. დემირხანოვი საბჭოთა არმიის რიგებშია და აქტიურად მონაწილეობს კავკასიის ენერგეტიკული ობიექტების აღდგენაში.

1944 წლიდან რ. ა. დემირხანოვი მუშაობს სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ხოლო 1946 წელს სამუშაოდ მიიწვიეს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, სადაც იმუშავა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეცნიერი თანამშრომლიდან მსხვილი სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელამდე.

რ. ა. დემირხანოვის სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა თანამედროვე ფიზიკის ფართო წრეს საკითხებს. რ. ა. დემირხანოვისა და მისი თანამშრომლების ერთობლივი ფუნდამენტური გამოკვლევები მნიშვნელოვანი წვლილია თანამედროვე ფიზიკაში. მთელი რიგი ნაშრომებისათვის მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

იყო რა მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დიდი კოლექტივის ხელმძღვანელი, რ. ა. დემირხანოვმა შექმნა სამეცნიერო სკოლა მას-სპექტროსკოპიასა და პლაზმის ფიზიკაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 16 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია, იგი 300-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორია.

რ. ა. დემირხანოვის სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობა არ შეზღუდულა

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ფარგლებით. იგი ყოველთვის დიდი უურადღებითა და ინტერესით ეკიდებოდა მეცნიერული კვლევის განვითარებას რესპუბლიკაში, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, ელექტრონულ-ოპტიკი ტექნოლოგიის ინსტიტუტში, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ნაშრომების შექმნა ბევრად განსაზღვრა იმ კოლექტივის შემოქმედებითმა აქტიურობამ, რომელსაც რ. ა. დემირხანოვი მეთაურობდა.

აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად რ. ა. დემირხანოვი დიდ უურადღებას უთმობდა სამეცნიერო მოღწევების პოპულარიზაციას რესპუბლიკის საზოგადოებრიობაში. იგი მრავალი წლის მანძილზე იყო საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის გაგეთების თავმჯდომარის მოადგილე, ჰქონდა მეცნიერული და საზოგადოებრივი ცოდნის ბრწყინვალე პროპაგანდისტის იშვიათი თვისებები.

რ. ა. დემირხანოვის სამეცნიერო და ორგანიზატორული მოღვაწეობა დიდად დააფასეს პარტიამ და სახელმწიფომ. იგი დაჯილდოდა შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლით.

გარდაიცვალა ფართო ერუდიციისა და დიდი კულტურის მეცნიერი, მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორი, გულისხმიერი და გულითადი ადამიანი.

რაჩია არამის ძე დემირხანოვის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. გ. გილაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, გ. ვ. კოლბინი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. ო. კობახია, ი. ჯ. უგილავა, ა. პ. საყვარელიძე, თ. ვ. ლორთქიფანიძე, რ. გ. სალუქვაძე, გ. ე. მურღულია.

მოვიდოგისათვის გრძოლაში დამსახურების გამო

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეალების სამსახურს ახმარს მთელ თავის ნიჭს, მთელ თავის ენერგიას ცნობილი ბერძენი კომპოზიტორი, მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი მიკის თეოდორაკისი. მას მიენიჭა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

4 ოქტომბერს კრემლის სვეტლოვის დარბაზში საზეიმო კრებაზე საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ტაშის გრიალში საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ნ. ნ. ბოლხოვნმა მ. თეოდორაკისს გადასცა ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

მ. თეოდორაკისმა გულითადი მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ მას გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია.

ვარტიული ცხოვრება:

მიმდინარეობს ანგარიშებიანი-ანრჩევნები

თბილისის მექანიკური მორწყვის სამმართველოს პირველი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრება ალბათ უფრო კრიტიკული იქნებოდა, მის მდივანს ა. ღაღანიძეს თავის მოხსენებაში იმაზე რომ არ ეფიქრა, სჯობია არც მწვადი დავწვა, არც შამფურიო. მაგრამ ნათქვამი, სუბიექტური რომ არ გამოდგეს, მივყვეთ თავად კრების მსვლელობას.

მექანიკური მორწყვის ეს სამმართველო გარდაბნის რაიონის დიდ საბჭოთა მეურნეობებს აწვდის სარწყავ წყალს. ამ საქმეში გამოიყენება მტკვრის, თბილისის ზღვის და კუმისის წყლები. სამმართველოს საკმაოდ დიდმა შრომითმა კოლექტივმა (აქ 200-მდე ადამიანი მუშაობს) ყოველწლიურად 8.494 ჰექტარი ფიზიკური ფართობი უნდა მორწყოს. როგორც მერე საანგარიშო კრებაზე ითქვა, სამმართველო ამ გეგმადავალებას ასრულებს, მაგრამ როგორ? რა საშუალებით? რა უჭირთ და რა ულხინთ? როგორია საქმიანი, კონკრეტული ურთიერთობა გარდაბნის რაიონის საბჭოთა მეურნეობებთან? ითვალისწინებენ თუ არა იმას, რომ რაიონი მიჩნეულია მეცნიერულ საიანლეთა დანერგვის პოლიგონად და როცა გვინდა, მოძმეთ ჩვენი კარგი მუშაობა ვაჩვენოთ, ობიექტებად სწორედ ამ მეურნეობებს ვირჩევთ ხოლმე? არაფერი ამის მსგავსი!

მექანიკური მორწყვის სამმართველოს კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე იმგვარი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს მელიორატორები მხოლოდ „თავიანთი საქმით“ იფარგლებიან და გარდაბნელთა ელმინდვრებისაკენ არც იხედებიან. მეტისმეტად მოკლე საანგარიშო მოხსენებაში არ იგრძნობოდა საქმისადმი პრაქტიკული მიდგომა. პარტბიუროს მდივანს ა. ღაღანიძეს ამ ანგარიშებზე ეფიქრა, ალბათ, ასეთ ფორმულირებას ეტყოდა: ეს ანგარიშები ასეთ-ასეთ ნაკლოვანებებს ავლენენ, ასეთ-ასეთ ღონისძიებებს ვიღებთ, ასეთ-ასეთ ამოცანებს ვსახავთ. ეს ფორმულირება ალბათ ბევრ ადამიანს ეტყვის, ეს ეს ვიცოდა, ეს ეს ვიცოდა, ეს ეს ვიცოდა

ქართულ მიწაზე ხალხთა მეგობრობა ზეიმობს

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები

ედუარდ კოლმანოვსკი,
კომპოზიტორი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი

სოხუმი, მისი შესანიშნავი ბუნება და ზღვა პირველად როდი მიტაცებს. აქ ჩამოვდივარ არა მარტო დასასვენებლად, არამედ სამუშაოდაც: აქ ვწერ მუსიკას, ვმართავ საავტორო კონცერტებს.

ამჟამად აფხაზეთის ქალაქებში ჩემს გამოსვლებს ვუძღვნი საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით. პროგრამაშია როგორც უკვე ცნობილი, ასევე ახალი სიმღერები.

ახლაც, სწორედ აქ, სოხუმში, ვმუშაობ სიმღერის ციკლზე, რომლებიც იქმნება რ. ჰამზათოვისა და ა. მეჟიროვის ლექსების მიხედვით.

იაკობ ხოხლოვი,
ვლადიმირის სიმღერის, ინსტრუმენტული და ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუხ“-ის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი

რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ზეიმის პირველი დღეები ბათუმში გავატარეთ, სადაც ოთხი კონცერტი გავმართეთ. მოხარული ვართ, რომ ბათუმელმა მაყურებლებმა ძალიან გულთბილად მიგვიღეს. ჩანს, მოეწონათ ჩვენი ხელოვნება, რისთვისაც საგანგებოდ მოვემზადეთ. გავაჟღერეთ პროგრამა, კოსტიუმები.

ქალაქი ვლადიმირი რუსეთის უძველესი ქალაქთაგანია და ამ ძველთაძველ მიწას ხელოვნებაც თავისთავადი აქვს. ბუნებრივია, ეს აისახა სიმღერებშიც, ცეკვებშიც, კოსტიუმებშიც, თითოეულ საკონცერტო ნომერში. სწორედ ამიტომაც ჩვენი ანსამბლის ხელოვნება სხვათაგან გამორჩეულია. კიდევ ერთი რამ, რაც ჩვენი ანსამბლისათვის არის დამახასიათებელი: ყველა წევრი ერთნაირად ცეკვავს, მღერის და უკრავს კიდეც.

ანსამბლი სულ ათი წელია, რაც არსებობს და ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. საქართველოში პირველად ვართ და, ცხადია, ვღელავთ, თუმცა ბათუმელების სითბომ დიდი სტიმული მოგვცა.

გრიგორი გლაჯოვი

საქართველოში დაბრუნება

მე საქართველოს სიზმრად
ვნახულობ,
მის ჭექა-ქუხილს, ამინდს
ვნეებიანს;
ფერები, სულში გადანახული,
ასეთ სიზმრებში მეცხადებიან.

ვხედავ მწვანე ზღვას, ბინდისფერ
ძენწს,
აქ ზამთარშიაც დაქრის მაისი...
ლაჟვარდოვანი ზურმუხტის ზეცა
ხაროს გელათით და ქუთაისით.

თითქოს ბულონის ტყეს პგავს
ბუნება,
მდელოებს ეშხი დაპკრავს
ალპური...
ბაგრატზე ავალ, ჯვარზეც, თუ
მნებავს
და სიამაყის დამწვავს ალმური.

და მაინც ეს ტყე, ეს მდელოები
ვითომ ბულონის, ვითომ
ალპური —
არის საოცარ საქართველოსი,
არის საოცრად ნაღდი ქართული.

მსიბლავს ფუსვები, წმინდა
ანბანის,
ვერ მოერია ვისაც ვერაფინ!..
მიქრის, მიმფრენს უკიდეგანოდ
ბარათაშვილის თეთრი მერანი!

აქ მთვარის შუქზე გალაკტიონი
ლექსებს კითხულობს, მესმის და
ვხედავ!
თავს გადმომყურებს კავკასიონი
და თასით მხვდება ქართველი
დედა.

ო, საქართველოვ, სიზმარო
ტკბილო,
ნეტარებაა შენი შვილობა,
მე შენში ვხედავ ფერწერულ
ტილოს
და ფიროსმანის
გულუბრყვილობას!

თარგმნა მზია ხეთაგურმა.

თბილისი

ბუშმარიტი მეგობრობისა და ნამდვილი ძმობის დღესასწაულია საქართველოში. საბჭოთა რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მონაწილეებს გულთბილად და სიყვარულით ხვდებიან ყველგან. საზეიმოდ მოურთავთ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი ფლაგმანის — თბილისის კამოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კულტურის სახლი. საწარმოს შესასვლელთან გაკრულია ტრანსპარანტი: „ჩვენი გულთბილი სალამი საბჭოთა რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მონაწილეებს!“.

კომბინატის მშრომელებმა გულითადი შეხვედრა მოუწყვეს რსფს რესპუბლიკის ა. იურლოვის სახელობის აკადემიური რუსული საგუნდო კაპელის მსახიობებს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია რუსეთის სფს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სტანისლავ გუსევი. სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს კომბინატი. კულტურის სახლში მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ნადირაძემ. ისტორიულმა ბედმა ერთმანეთს დააკავშირა რუსი და ქართველი ხალხი, — თქვა მან, — ჩვენი მეგობრობა ძირძველია და მას ვერაფერი შერყევს. საქართველოსთან არის დაკავშირებული ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, მ. გორკის, ბ. პასტერნაკის და სხვათა სახელები. ჩვენი საწარმოს კოლექტივს, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში, ძლიერ ახარებს თქვენი სტუმრობა, მოუთმენლად გელოდათ საწარმოს თითოეული მუშაკი. დაე, ეს მეგობრობა კვლავაც ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ანატოლი ბირიუკოვმა. მან მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი შეხვედრისთვის. იმ სითბოსა და სიყვარულისათვის, რომელსაც ისინი ქართულ მიწაწყალზე ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ. შემდეგ კომბინატის მშრომელებისათვის კაპელის კოლექტივმა გამართა კონცერტი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მ. თენეიშვილი.

● ●

ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა, საზეიმოდ მორთულა მისი ტერიტორია. მრავალრიცხოვანი ტრანსპარანტები გვაუწყებს, რომ საწარმო ძვირფას სტუმრებს — საბჭოთა რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მონაწილეებს ელოდება. საწარმოსთან მისასვლელი ქუჩის მარცხნივ და მარჯვნივ ლენინის სახელობის რაიონის სკოლების პიონერები ჩამწკრივებულან, აქვე არიან ქარხნის ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საველოშხეფილი ვეტერანი მუშები.

... გაისმა ტაშის გრიალი და შეძახილები: „სალამი საბჭოთა რუსეთის წარმოგზავნილებს!“, „გაუმარჯოს ჩვენი ხალხების საუკუნოვან მეგობრობას!“, „დაე, მუდამ მტკიცდებოდეს დიდი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა!“. „იკარუსებიდან“ რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები გადმოდიან, ბავშვები მათ ცინცხალ ყვავილს სთავაზობენ, მეგობრები ერთმანეთს ხელს ართმევენ, ეხვეევიან...

სტუმრები საწარმოს საამქროში შედიან, თვალყურს ადევნებენ ვაგონების აწყობის ტექნოლოგიურ პროცესს, მიესალმებიან მუშებს. შემდეგ მათ მუზეუმში იწვევენ და გზადაგზა აცნობენ ქარხნის შესანიშნავ შრომითსა და რევოლუციურ წარსულს.

— მართლა? ეს არ ვიცოდი. ამხანაგებო, ეს საწარმო ასი წლისა ყოფილა და აქ თურმე მაქსიმ გორკის უმუშავია, გასძახა თავის აღსაზრდელებს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ბერიოზკას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა მ. კოლცოვამ, „მაკარ ჩუდრა“ აქ დაწერა? ძალიან, ძალიან საინტერესოა...

მუზეუმიდან სტუმრებს ქარხნის ტერიტორიაზე მოწყობილი ესტრადისაკენ იწვევენ.

მიტინგს ხსნის ქარხნის დირექტორი ტ. ჯაბაური, რომელიც მოკლედ აცნობს ძვირფას სტუმრებს საწარმოს შესანიშნავ წარსულს, ესაუბრება მის აწმყოსა და მომავალზე, ამბობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულ წრეებს, იმპერიალიზს არ ასვენებთ საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარი — მეგობრობა, ვერ მოუნელებიათ, რომ ჩვენ ძმურ, ერთ ოჯახად ვცხოვრობთ და ომის ქარცეცლში გახვევას გვიპირებენ. ვერ შეგვაშინებენ! მათს ხრიკებსა და გამოხდომებს მტკიცე ნებისყოფას, მეგობრობის ნაცად ფარს დაუპირისპირებთ.

რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს ბევრი მუშა-მოსამსახურე და ლენინის რაიონის ხელმძღვანელობა მიმართავს გულთბილი სიტყვით.

მერე კი სიტყვა სტუმრებს ეძლევათ. ლაპარაკობს მ. კოლცოვა. იგი მადლობს უხდის შეკრებილთ ესოდენ გულითადი მიღებისათვის და დასძენს, ბედნიერი ვარ, რომ უნდა გამოვიდე იმ საწარმოს კოლექტივის წინაშე, რომელსაც ასეთი დიდებული ისტორია ჰქონიაო.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი გულისწყრომით ლაპარაკობს იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის უგუნურობა კაცობრიობას დიდ საფრთხეს უქმნის. საბჭოთა ხალხების მეგობრობა მტკიცე გარანტიაა იმისა, რომ იმპერიალიზმი ვერ გაბედავს თავს მოგვახვიოს თავისი ბინძური ჩანაფიქრი.

ლენინგრადელი პოეტი მ. დუდინი სიყვარულით საუბრობს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე, ლენინგრადელი და ქართველი პოეტების შემოქმედებითს ურთიერთობაზე. იგი კითხულობს ნ. ბარათაშვილის ლექსების საკუთარ თარგმანს.

რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრი ი. მელენტიევი აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დიდ მნიშვნელობას ქართველი და რუსი ხალხების ცხოვრებაში და ამბობს, რომ საუკუნეობით ნაცადი ძმობა ყოველგვარ სიძნელეებს გადალახავს.

შემდეგ მან ქარხნის წარმომადგენლებს საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის მინიატიურული სკულპტურა.

ანსამბლმა „ბერიოზკამ“ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს თავისი შესანიშნავი, საქვეყნოდ განთქმული ხელოვნება უჩვენა. ყველა ნომერი სრულდება განუწყვეტელი ტაშის გრიალში, გაისმის მოწონების შეძახილები.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს თან ახლდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია.

● ●

სოლისტმა ამოწურა დროის ლიმიტი, მას რომ ჰქონდა დათმობილი, ბაგრამ მაყურებლები ისევ და ისევ იძახებდნენ სცენაზე. ეს გასაგებიც იყო: თბილისის დამტკოვროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ახალგაზრდობის ცენტრში ხომ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, განთქმული ბანი ბორის შტოკოლოვი გამოდიოდა. მან შეასრულა რუსული ხალხური სიმღერები, ანდრია სოკოლოვის არია ი. ძერჟინსკის ოპერიდან „ბედი კაცისა“.

— ეს ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი არიაა, — თქვა კონცერტის შემდეგ მომღერალმა. — ეს არის კიდევ ერთი მოწოდება ხალხისადმი გავუფრთხილდეთ მშვიდობას, ვამრავლოთ წარუვალი საკაცობრიო ღირებულებანი.

ლენინგრადელ სტუმარს თავისი რეპერტუარი უაღრესად გულდასმით ჰქონდა შერჩეული. სოკოლოვის არია თითქოს მუსიკალური განგრძობა იყო ავიამშენებლებისა და რუსეთის ფედერაციის დელეგაციის წევრთა რეზოლუციაზე, რომელმაც მოიწონა ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადება.

თავისებურად გამოეხმაურნენ ამ შეხვედრას რუსი ფერმწერნი. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. ტკაჩოვმა მუშები მიიწვია თბილისში გახსნილ გამოფენაზე „საქართველო რუსი და საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებებში“.

სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ სტავროპოლის ქხარის წარმოგზავნილნიც, სიხარულით შეიტყვეს, რომ თბილისელი ავიამშენებლები ქვეყნის ბევრ რეგიონს უმზადებენ კიდული ბაგირგზების კაბინებს. კერძოდ, თბილისური კაბინებით არის აღჭურვილი კისლოვოდსკის, პიატიგორსკისა და განთქმული საზამთრო კურორტის დომბაის ბაგირგზები.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის დამტკოვროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარტთა ბრიგადირი ტ. როსტიაშვილი.

● ●

თითქმის ათი წლის წინ ერთდროულად იშვა ორი კოლექტივი — ქარხნიანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ზიონი“ უნივერსიტეტის სტუდენტთა შეკრებაზე.

გამოფენაზე წარმოდგენილია რამდენიმე ნამუშევარი დიდი სამამულო ომის შესახებ, რომელსაც ავტორი გადმოცემით როდი იცნობს. მან იარა ომის რთული გზებით.

ხ. იაკუპოვის ტილოებიდან შთაგონებითა და მშვიდად გვიმზერენ თათრეთის წარჩინებული ადამიანების უბრალო და ამაყი სახეები.

მხატვარი წარმატებით მუშაობს პეიზაჟის დარგშიც, ხატავს ნატურმორტს, წვლილი შეაქვს წიგნის გრაფიკის განვითარებაში. მხატვარს ფართო აღიარება მოუტანა მისმა ილუსტრაციებმა თათრული ხალხური ზღაპრებისათვის.

— ხარის იაკუპოვი ფერწერის დიდი ოსტატია. გვხიბლავს მისი მკაფიო, თავისთავადი ნიჭი — თავისუფალი მონასმი და ხასხასა ფერები, — თქვა აჯარის ასსრესპუბლიკის ხხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ჰასან ინაიშვილმა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჯარის სოოლქო კომიტეტის პირველი ბდივანი ვ. რ. პაპუნიძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ქუთაისი

გრძელდება რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები. ქალაქს ესტუმრა სახელგანთქმული საესტრადო ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. კაულაევი.

ანსამბლი ეწვია აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაურ საწარმოს, სადაც მისი წევრები გაეცნენ შრომის პროცესებს, შეხვდნენ ფეიქრებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს. შემდეგ კი აქვე გაიმართა დიდი საესტრადო კონცერტი. ანსამბლმა ქალაქის ლენინის რაიონის მშრომელებისათვის კონცერტები გამართა აგრეთვე ვ. კიკვიძის სახელობის კლუბში.

ამ დღეების დასკვნით ეტაპზე, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალში წარმოდგენილი იყო კომპოზიტორ დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“. ქუთაისელთა ახალი საოპერო სპექტაკლი მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, სპექტაკლის მუსიკალური კონსულტანტი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დამდგმელი დირიორი — თ. ჭუმბურიძე, მხატვრები — რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი მ. მურვანიძე და ი. იმერლიშვილი.

მაყურებელთა შორის ბევრი სტუმარი იყო თბილისიდან და მოსკოვიდან. ისინი მხურვალედ მიესალმნენ სპექტაკლის მონაწილეებს. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად მთავარი პარტიების შემსრულებლებს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს გ. ლომთათიძეს (ალ. გრიბოედოვი), ფ. დუნდუას (ნინო ჭავჭავაძე), რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ა. ფხაკაძეს (ალექსანდრე ჭავჭავაძე) და სხვებს.

სტუმართა შორის იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ე. გოგოლევა, რომელიც სპექტაკლის შემდეგ მაყურებელს წარუდგინა დ. ალექსიძეს.

სახელგანთქმულმა მსახიობმა ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა.

— დღევანდელი დღე და, საერთოდ, რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში, წარუშლელი იქნება ყოველი ჩვენგანის მეხსიერებაში. მეტად მასიამოვნა საოპერო სპექტაკლმა, რომელიც მიეძღვნა დიდი რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის უბადლო და განუმეორებელ სიყვარულს. აღფოთოვანებული ვარ სპექტაკლის მაღალი პროფესიონალიზმით, — აღნიშნა მან.

მართლაც რომ დიდებული სანახავი იყო ქუთაისში ეს საზეიმო დღეები.

თელავი

კვლავ შემოდგნენ „მეცხოვნენი“ ერეკლეს ბურჯზე, ისევ დაჭკა დაფმა და ნაღარამ, ისევ გაისმა ყიჟინა და შეძახილები — არა ბრძოლისა და მტერთან შებმისა, არამედ საუკუნო ძმობისა და მეგობრობისა.

ზარ-ზეიმით მობრძანდა მარადიული მეგობრობის დღესასწაული ერეკლეს ქალაქში — თელავში. და განახლებულმა, აყვავებულმა, ამაღლებულმა, შემოდგომის ოქროს ფერებით მოხატულმა კოპწია ქალაქმა ფართოდ გაუხსნა სამასპინძლო კარი სასურველ სტუმრებს — ორი საუკუნის წინ ფიცის წიგნით შეერული უფროსი ძმებისა და დების წარმოგზავნილებს რუსეთის სფსრ დელეგაციის წევრებს — ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებს, რომელთაც მეთაურობს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ჩეხარინი.

შესისხლხორცებული მეგობრობის საკადრისი მასპინძლობისათვის დიდი ხანია ემზადება თელავი, გეორგიევსკის ტრაქტატის მეაკვნე-ქალაქი. თელავის რაიონის მშრომელებმა პირველებმა აუბეს მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, პირველები დადგნენ ამ ღირსსახსოვარი იუბილეს აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და სასახელო წარჩატებებით გაიჩირაღდნეს საპატიო სტუმართა მისაღები კარიბუე.

საზეიმო შეხვედრას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. კობაძე. მიტინგზე გამოსულმა სტუმრებმა და მასპინძლებმა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ჩეხარინმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ულიანოვმა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. რაინაულმა, პოეტებმა ძ. ქვლივიძემ, ჯ. ჩარკვიანმა და სხვებმა ალალი გულით დალოცეს რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ნერგი, საუკუნეებში რომ გაუდგამს ფესვები, ილაპარაკეს ჩვენი ინტერნაციონალური ქვეყნის უძლეველობაზე, ერთობის ძალაზე.

და იწყება ზეიმი — რუსი და ქართველი ძმადნაფიცობის, კულტურისა და ყოფის, მათი სულიერი ერთიანობის დასტური.

— მოვედით, რათა გიჩვენოთ ჩვენი ხელოვნება, — გვითხრა ანსამბლ „ბერიოზკას“ დირექტორმა ა. გუსევმა, — მოგვაჯადოვა ქალაქის სილამაზემ, აქაურმა სტუმარ-მასპინძლობამ.

საქართველოში ჩვენ რამდენჯერმე ვყოფილვართ, მაგრამ, მაწუხაროდ, თბილისს არ გავცლებივართ, ახლა კი ამ ლამაზ ქალაქში ყოფნამ, ამ ბედნიერმა შეხვედრებმა სრული წარმოდგენა შეგვიქმნეს მთელ საქართველოზე.

თელავში ჩვენ სრულიად ახალი პროგრამით მოვედით. კონცერტ-სპექტაკლი, რომელიც თელაველ მშრომელებს უნდა ვუჩვენოთ, ჩვენი პრემიერაა და გვიხარია, რომ ეს პრემიერა შედგება ისეთ უნიკალურ შენობაში, როგორიც თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრია...

მეგობრობის ზეიმი გაიაზ ღამემდე გაგრძელდა. მას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.





თელავში გაიმართა ხალხმრავალი დღესასწაული, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

ქმობასა და მეგობრობას ადღეგრძელებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი.

დღეების მონაწილენი იყვნენ ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, სადაც დაათვალიერეს ახალი ავტომობილი „კაზ-4540“.

მწერლების შეხვედრა ბათუმში (მარცხნიდან): ა. შერვაშიძე, მ. ალექსეევი, ფ. ხალვაში და მ. დუდინი.

ჯ. ლომაძის, ბ. გერასიმოვის, ნ. ანასტასიევის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალექსანდრ ბოროდინი, ალექსანდრ ბაბაიანი, ალექსანდრ ბოროდინ, ალექსანდრ ბაბაიანი, ალექსანდრ ბოროდინ, ალექსანდრ ბაბაიანი

სურათზე: პუშკინის ბარელიეფი წყაროსთან, საქართველოს სამხედრო გზაზე.

ს. კილაძის ფოტო.

მადლობა შენდა, გზაო ხსოვნისა, გზაო-ძეგლო!



სულხან-საბა ორბელიანის მემორიალი

საუკუნეების სიღრმიდან დღევანდელობაში გამოყვანილ ძმობის ტრასაზე დადგმულია პოეტის, ფილოსოფოსის, ლექსიკოგრაფისა და დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი. გადმოცემით, აქ, არაგვის კლაკნთან, იგი ისვენებდა საქართველოდან რუსეთის მიმავალი. ახალგაზრდა მოქანდაკეებმა და არქიტექტორებმა ნ. ურუშაძემ, თ. გაბუნიამ, გ. ზაქარაიამ და გ. ყღენტმა „სიბრძნე სიცრუისას“ ავტორის ძეგლი შეასრულეს მისი განთქმული იგავ-არაკების სტილით: ორბელიანის ფიგურა თითქოს ძველი ქართული ფრესკებიდან ჩამოსულაო. ქანდაკების ბარელიეფი ეძღვნება მისი იგავ-არაკების სიუჟეტებს. ავტორთა ჩანაფიქრით, მემორიალი დასვენების ადგილი გახდება, აქ გამოყვანილია მინერალური წყლის წყარო.

...რუსეთსა და საქართველოს შორის გადებული მეგობრობის გიგანტური ხიდი გახდა თავისი ისტორიის საუკუნეების მანძილზე ეს ორასკილომეტრიანი მაგისტრალი. და თითქოს ერთხელ კიდევ შეგვახსენებს, რომ მას ორი დასაწყისი აქვს, მაგრამ არა აქვს ბოლო, კვლავ — შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან, ახლა უკვე არაგვის პირას.

ილია ჭავჭავაძის ძეგლი

საგურამოს მახლობლად, ბორცვზე, აღმართულია თერმეტი მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს მონუმენტი (ავტორები — მოქანდაკე ლ. მხეიძე და არქიტექტორი თ. ბოჭორიშვილი). საქართველოსკენ, გზისკენ პირით შემობრუნებული, იგი თითქოს გზას ულოცავს ყველას, ვისთვისაც, ისევე როგორც „თერგდალეულთათვის“. ეს გზა სიმბოლურად გამოხატავს ურღვევ კავშირს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან.

ამ ძეგლის სიმაღლიდან მოჩანს საქართველოს ვენახები და კაკაესონის მთები, სადაც მოვიდა ახალი ცხოვრება, რომელიც საქართველოს დიდმა ოქტომბერმა, რუსეთთან კავშირმა მოუტანა.

...თბილისთან საქართველოს საზეიმო გზა შემხვედრი მოძრაობის ორ ზოლად იყოფა. მაგრამ იგი ერთიანი რჩება. და თითქოსდა განუყოფლობის სიმბოლოდ გადაქცეულა ერთმანეთს უყანგავი ფოლადის უზარმაზარი რგოლები მემორიალზე.

„სამარადჟამო მეგზურობა“

აზრი, რომელიც საფუძვლად დაუდო ამ მონუმენტურ კომპოზიციას მისმა ავტორმა, მოქანდაკე ზ. წერეთელმა, მარტივი და ნათელია: როგორც შეუძლებელია ღუზის ჯაჭვის რგოლების გაწყვეტა, ასევე ურღვევია რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაც.

საქართველოს სამხედრო გზას ბოლო არა აქვს. ჩამოვა თუ არა ერთი მგზავრი თბილისში, მის კვალდაკვალ ორჯონიკიძიდან სამოგზაუროდ მოდის ათობით სხვა, და — პირიქით. სწორედ ისინი ქმნიან ტრასის უწყვეტ ცხოვრებას, რომლის გასწვრივ დადგმულმა ახალმა მემორიალებმა არა მარტო დაამშვენეს იგი, არამედ ნათლად წარმოაჩინეს კიდეც ნათესაობის ამ მაგისტრალის შესანიშნავი ისტორია.

1983 წლის 4 ოქტომბრის დღე ავდრიანი გამოდგა. მთებში მოთოვა, ჯვრის უღელტეხილზე ნისლი ჩამოწვა, მაგრამ საქართველოს სანხედრო გზაზე უჩვეულოდ ბევრი ხალხი იყო. მთელი რიგი ძეგლები ყაზბეგის, დუშეთის, მცხეთის რაიონების მშრომელთა, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა თანდასწრებით გახსნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ლ. ქართველიშვილმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. მ. ჩეხარინმა.

საქართველოს სამხედრო გზის ძეგლთა და მემორიალურ ნაგებობათა გახსნის ცერემონიაზე მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ხ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე, ა. პ. საყვარელიძე, ნ. შ. ჯანბერიძე.

საქართველოს და რუსეთის დიდი შვილებისადმი საყვარულისა და მადლიერების სიტყვები მიტინგებზე წარმოთქვეს მწერლებმა სერგი მიხალკოვმა, ნოდარ დუმბაძემ, მიხეილ დუდინმა, გიორგი ციციშვილმა, ნიკოლოზ დორიზომ, ვლადიმერ სოლოუხინმა, რომან მიმინოშვილმა, ვალენტინ ემელიანოვმა, თენგიზ ბუაჩიძემ, რესპუბლიკის მეცნიერთა სახელით — მარიკა ლორთქიფანიძემ, ვანო შალუტმა, მშრომელთა წარმომადგენლებმა.

(საქინფორმი).

სურათზე: პუშკინის ბარელიეფი წყაროსთან, საქართველოს სამხედრო გზაზე.

ს. კილაძის ფოტო.

მიხეილ დუდინი

ნიკოლოზ ბარათაშვილს

ცა გაცრეცილა ციცი ციაგით.
მოციმციმებენ ციურნი ცვარნი.
კვლავ შევიყარნეთ... ბედის
სამძღვართან
კვლავ ყაშყაშებენ სვავნი
მყივარნი!
ლენინიფერია პოეტის მზერა —
პწკარივით მისდევს საწუთროს
რონინს...
ერთი გვაქვს ხვედრი, თუ
ბედისწერა
და უამურნი გარბიან დრონი...
კვლავ ერთად დგანან, ვით
ორეული —
ბედი რუსული, ბედი ქართული—
ცეცხლის ფაფარში მიმობნეული
და პოეზიის ცით განათლული!
ჩემი სულმნათი მოძღვრისა
მჯერა!

მწყალილ სინელნიკოვი

აწონილი ვარ პეშვთა პინეებით...
და გულთა შორის დიდი
სიმღერა
იწყება ლექსთა დაძმობილებით!..

* * *

არ ახლია, ძველისძველია:
დახურულ წიგნთა ხმები
ფარული
უფრო ხმამაღლა იფიცებიან,
ვიდრე გაიქმული
ეგ სიყვარული...
რა მრავლისმთქმელი ყოფილა,
თურმე, —
თვალთა ცახ ძველი სევდა რომ
ერთვის...
იყუჩე, ჩემო, შენი სიჩუმე
სიტყვებზე უფრო ცხადია
ჩემთვის.

ჯვარი

ვუძღვნი მცხეთის ჯვრის მონასტრის ალმშენებელ უცნობ ოსტატებს.

მათ აღაშენეს ღვთიური ჯვარი,—
თავად ღმერთიც რომ ვეღარ
ინატრებს!
ცით მოამთავრეს
წმინდა ტაძარი
და სათნოება დააბინადრეს.
მათ დაიჩოქეს
საწუთროს შიშით,
(ჯვარი დაგწერეს,
ბინდის ნათელო)!..
მერმე წამოდგნენ
და ტაძრის ჩრდილში
განქარდნენ უხმოდ
და უსახელოდ.
რა ამაოა
ოსტატის რწმენა!
არსად წარწერა,
რისთვის მღეროდით...
რად დადგით მთაზე
მთად ბედისწერა,
მომთავრებული ცის
კენწეროთი?!..

თარგმნა ლაშა გახარიამ.

მნიშვნელოვანი შენაძენი

ახალი აკადემიური „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემის გამო

რუსულ-ქართული ლექსიკონის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში მეტად დიდია. კიდევ უფრო გაიზარდა ეს მნიშვნელობა, როდესაც სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სპეციალური დადგენილება მიიღო რუსული ენის სწავლებისა და ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე. ამ დადგენილების რეალიზაციის საქმეში ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრება ახლად გამოსულ ერთტომეულს „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“, რომელიც შეადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, ხოლო გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“.

როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, იგი შედგენილია ამავე ინსტიტუტის მიერ ადრე გამოცემული სამტომეული „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ საფუძველზე და მნიშვნელოვანწილად იმეორებს სიტყვებისა და საილუსტრაციო მასალის იმ თარგმანებს, რომლებიც სამტომეულ ლექსიკონში იყო წარმოდგენილი. ახალ ლექსიკონში 48.807 სიტყვაა (სამტომეულში იყო 64.683 სიტყვა). რა შეიძლება ითქვას ახალ „რუსულ-ქართულ ლექსიკონზე?“

ყოველი ახალი ლექსიკონი შეიძლება (და საჭიროა) შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რით განსხვავდება იგი უკვე არსებული ლექსიკონებისაგან. რადგანაც ახალი ლექსიკონი სამტომეულის საფუძველზეა შედგენილი, ბუნებრივია, იგი უნდა შევუდაროთ სწორედ ამ თავის წინამორბედს. დავიწყოთ **სიტყვანით**. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ახალი ლექსიკონის სიტყვანი მნიშვნელოვნად არის შემცირებული სამტომეულთან შედარებით. ეს გასაგებია: ერთ ტომში ვერ მოთავსდებოდა სამტომეულში შემავალი ყველა სიტყვა. მაგრამ ახალი ლექსიკონის სიტყვანი, შეიძლება ითქვას, არსებითად არ დაზარალებულა. სამტომეულის სიტყვანი მნიშვნელოვნად გაცხრილულია ისეთი სიტყვებისაგან, როგორიც არის: ა) **მოძველებული სიტყვები**, რომლებიც თანამედროვე რუსულ ენაში იშვიათად იხმარება (მაგალითად: баскак, бекеша, брандер, бурнус, кваша, одесную, пакетбот, და მისთ.); **კუთხური სიტყვები** (მაგ. альчик, баштан, казан, ковач, кулига, обзол, оброть, обувки, огребки, одаль, стрекава და მისთ.); ბ) **ვიწროსპეციალური ტერმინები** (მაგალითად: буж, бушприт, волчец, навис, нафтол, оварин და მისთ.).

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: სამტომეული ლექსიკონის სიტყვანში არც თუ იშვიათად მოცემულია სიტყვათა მოძველებული (უმართებული) დაწერილობა, რა თქმა უნდა, სწორი ფორმის მითითებით. ერთტომეულში ასეთი უმართებული ფორმები საერთოდ არ არის შეტანილი. ასეთია, მაგალითად: арьергард, атракцион, аттрибут, барикада, безумолку, бекрень, биллиард, бичёвка და მისთ.

ახალი ლექსიკონის შემდგენლებს სამტომეულთან შედარებით შეუზღუდავთ აგრეთვე სახელთა ჯნინობითი ფორმების შეტანა (მაგალითად: бочок, роток, рублик, свадебка, скляночка და მისთ.).

ამასთან სიტყვათა საკმაოდ დიდი ჯგუფი არ შესულა ახალ ლექსიკონში იმ მიზეზით, რომ თანამედროვე რუსულ ენაში ეს სიტყვები ნაკლებგავრცელებულია, ნაკლებაქტიურია. ეს სრულებით ბუნებრივია. სხვანაირად არც შეიძლებოდა სამტომეული ლექსიკონის სიტყვანის შემცირება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ახალ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ შეტანილია მრავალი ისეთი სიტყვა, რომელიც სამტომეულში არ იყო (ზოგი ამ სიტყვათაგანი სამტომეულში, უბრალოდ, გამორჩენილი ჩანს, სიტყვათა დიდი უმრავლესობა კი შექმნილია უკანასკნელ ხანს). მაგალითად: автовокзал, акваланг, астронавт, аэрозоль, барокамера, бигуди, биоток, блицтурнир, кеды, колготки, космонавт, приводнение, приводниться, ракетодром, ракетоносец, расстыковаться, расстыковка, резус, секретер, сенаж, состыковаться და მრავალი სხვა.

ასე რომ, ახალი ლექსიკონის სიტყვანი ძირითადად დახვეწილია და ამავე დროს ახალი სიტყვებითაც შევსებული ჩანს.

საერთოდ კი, როგორც სათანადო დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, ლექსიკონები, როგორც წესი, ჩამორჩებიან ახალი ლექსიკის ასახვაში. ისინი, ასე ვთქვათ, გუშინდელი დღის ლექსიკას ასახავენ. როგორც ირკვევა, ეს ლექსიკონი 1978 წ. თებერვლიდან არის წარმოებაში, ხოლო შედგენილი, ცხადია, გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს. ამიტომ უახლესი პერიოდის ლექსიკის ასახვას მას ვერც მოვთხოვთ (მაგ. автосервис, агропромышленный комплекс, агропромышленное объединение, боеголовка, боезаряд, крылатая ракета, безотходное производство და სხვ.).

ახლა განვიხილოთ, რა სიახლეს გვთავაზობს სარეცენზიო ლექსიკონი სიტყვათა თარგმნის თვალსაზრისით. აქ ძირითადად ორ მომენტს შევეხებით:

1. თარგმანის სიზუსტე.

იდეალური იქნებოდა ისეთი თარგმნითი ლექსიკონი, რომლის ყოველ სათარგმნ სიტყვას მეორე ენაში ექნებოდა ზუსტი ეკვივალენტი (სიტყვის ყველა მნიშვნელობისა და ნიუანსის გათვალისწინებით). პრაქტიკულად ასეთი ლექსიკონის არსებობა შეუძლებელია. არ არსებობს ენა, რომლის ყოველ სიტყვას სხვა ენაში ექნებოდა ზუსტი შესატყვისი. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შეუძლებელი იყოს ლექსიკონში ზუსტი თარგმანი. ლექსიკონის შემდგენელი ვალდებულია მაქსიმალური სიზუსტით თარგმნოს ესა თუ ის სიტყვა. ამ თვალსაზრისით თუ გადავხედავთ ახალ „რუსულ-ქართულ ლექსიკონს“, მასში ძალიან ბევრ სასაკეთო ცვლილებას ვნახავთ სამტომეულთან შედარებით. შესამჩნევად დაზუსტებულია როგორც ძირითადი სათარგმნი სიტყვების ქართული ეკვივალენტები, ისე გამოთქმების თარგმანები. აი რამდენიმე მაგალითი:

სიტყვა Клёкот სამტომეულში ასე იყო თარგმნილი: „ყიბყიბი, ყეფა (არწივისა და მისთ.)“. **ყიბყიბი** საბას მიხედვით ესაა „შავარდნისა და გავაზთ ხმიანობა“. ერთტომეულში ეს სიტყვა ასეა თარგმნილი: „ყაშყაში, ყეფა (არწივისა და მისთ.)“ ე. ი. ყიბყიბი **შეცვლილია ყაშყაშით**. ყაშყაში ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: „არწივის, ორბისა და მისთ. ხმაური, ყივილი“. ახლა ენახოთ რას ნიშნავს Клёкот რუსულში. დ. უშაკოვის ლექსიკონის მიხედვით ესაა «прерывистые звуки, издаваемые орлами и другими крупными птицами». ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ ახალ ლექსიკონს клекот-ისათვის უკეთესი შესატყვისი მოუძებნია.

Подветренный რუსულში ნიშნავს: «укрытый от ветра, противоположный направлению ветра» (დ. უშაკოვი). იგი ასე იყო თარგმნილი: საქარე: подветренная сторона дома. განმარტებით ლექსიკონში **საქარე** ასეა ახსნილი: „ქარისათვის განკუთვნილი“. ახალ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა თარგმნილი: „მუუდრო, ქარისაგან დაცული, ქარზურგა: п-ая сторона ქარზურგა მხარე, ქარისაგან დაცული მხარე“. ვფიქრობთ, უკომენტაროდაც ნათელია, რომ ახალი თარგმანი ჯობს ძველს.

Игорный дом (სიტყვა-ს ტატიაში игорный) თარგმნილი იყო „ბანქოს სათამაშო სახლი“. ახალ ლექსიკონში გვაქვს „სამორინე“. თარგმანი აქაც უფრო ზუსტია.

«Всякое излишество вредно ყოველნაირი გადამეტება, გადაჭარბება მავნებელია“. (იხ. излишество). თარგმანი საერთოდ სწორია, თუმცა კალკია. ახალ ლექსიკონში უკეთესი ქართულით არის გადმოღებული: „ზედმეტი არაფერი არ ვარგა“.

Исполнение долга (იხ. Исполнение) სამტომეულში იყო „მოვალეობის შესრულება“, ახალში კი — „ვალის მოხდა“. (მოვალეობის შესრულება ზომ исполнение обязанностей არის).

Бочонок თარგმნილი იყო: პატარა კასრი, ბოჭკა. ახალი ლექსიკონის მიხედვით: პატარა კასრი; ხელკასრი.

Рыба под соусом (იხ. соус-თარგმნილი იყო „თევზი საწებლით“. ახალ ლექსიკონში: „საწებლიანი თევზი“.

Гадательные выводы (იხ. Гадательный) თარგმნილი იყო „სათუო, სამგონიაო დასკვნები“, ახალში გვაქვს: „სათუო დასკვნები“.

Блесна-ს ზუსტი ქართული შესატყვისი არ გაიჩნია. თარგმნილი იყო ასე: „სატყუარა, კოლიტა (ნემსკვაესა)“. კოლიტა სულ სხვა რამეა (იხ. განმარტებითი ლექსიკონი). ახალ ლექსიკონში გაუკეთებიათ: „ბრჭყვიალა სატყუარა (ანკესისა)“. ყოველ შემთხვევაში ძველ თარგმანს ახალი მაინც ჯობია.

Понятливый-ს ჰქონდა თარგმანი: „გაგებული, მიხვედრილი, შესმენელი, ალღოიანი“. ახლა გვაქვს: „ადვილად გამგები, მიმხვედრი, ალღოიანი“.

Гад სამტომეულში თარგმნილი იყო ასე: „ქვეწარმავალი, ქვემძერომი“. ახალში არის ორი მნიშვნელობა: 1. **უპირატ. მრ.** (გადა,-ობ) ქვეწარმავალი, ქვემძრომი“. 2. **გადატ.** ლანძღ. საძაგელი, საზიზღარი (ადამიანი).

ასეთი მაგალითები ახალ ლექსიკონში ძალზე ბევრია. ერთი სიტყვით, ბევრი რამ ერთტომეულში შესწორდა, დაზუსტდა, დაიხვეწა.

ახალი ლექსიკონი სამტომეულისაგან განსხვავდება იმითაც, რომ მასში სიტყვა-სტატიები მრავალ შემთხვევაში შემოკლებულია. შემოკლებისას ერთტომეული ლექსიკონის შემდგენლებს სიტყვა — სტატიიდან ამოუღიათ ის, რის შემცირებაც „უმტკივნეულოდ“ შეიძლებოდა, რის შელეევაც შეიძლებოდა. დატოვებულია არსებითი, ძირითადი, მნიშვნელოვანი. მაგალითად: **Абонировать.** იყო: აბონემენტით დაკავება (აბონემენტით იკავებს, დაკავებული აქვს), აბონემენტით აღება, აბონემენტის ქონა (აბონემენტი აქვს), აბონირება: он абонирует ложу в театре აბონემენტით ლოჟა აქვს დაკავებული, ლოჟის აბონემენტი აქვს თეატრში. **არის:** აბონემენტის ქონა (აბონემენტი აქვს): он а-ует ложу ლოჟის აბონემენტი აქვს.

რიგ შემთხვევაში ახალი ლექსიკონის სიტყვა-სტატიებში სამტომეულთან შედარებით გაზრდილია სიტყვათა მნიშვნელობების რიცხვი. ზოგჯერ ეს გამოწვეულია იმით, რომ სამტომეულში გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც სიტყვა თარგმნილი იყო არასრული სინონიმებით, რასაც შეეძლო გაუგებრობა გამოიწვიოს. სამტომეულ ლექსიკონში კასა ასე იყო თარგმნილი: „სალარო, კასა; несгораемая касса უფრავი სალარო; театральная касса თეატრის სალარო; сберегательная касса შემნახველი სალარო; наборная касса სტამბ. საამწყობო კასა“. აქ, როგორც ვხედავთ, სალარო და კასა სინონიმურ თარგმანადაა მოცემული. მაგრამ **კასის** გამოყენება **სალაროს** ნაცვლად უმეტეს შემთხვევაში არ იქნებოდა გამართლებული. ახალ ლექსიკონში კასა სიტყვის თარგმანში ორი მნიშვნელობაა გამოყოფილი: „1. სალარო: театральная к. თეატრის სალარო, сберегательная к. შემნახველი სალარო. 2. პოლიგრ. კასა: наборная к. საამწყობო კასა“. აქ კასისათვის ცალკე მნიშვნელობაა გამოყოფილი და მითითებული აქვს მისი გამოყენების სფერო.

სხვა შემთხვევებში სარეცენზიო ლექსიკონში სამტომეულთან შედარებით დამატებულია ახალი მნიშვნელობები (განსხვავებული თარგმანით): მაგალითად:

Калёный იყო: 1. გავარვარებული, გახურებული, ცხელი: калёное железо გახურებული რკინა, შანთი; выжечь калёным железом გახურებული რკინით, შანთით ამოწვა; калёные угли გავარვარებული ნაკვერჩხალი. 2. მოხალული калёные орехи მოხალული თხილი. калёное лицо ალეწილი სახე.

არის 1. გავარვარებული, გახურებული: к-ое железо გახურებული რკინა, შანთი, 2. ნაწრთობი, 3. მოხალული: к-ие орехи მოხალული თხილი. к-ым железом выжечь შანთით ამოწვა, დაშანთვა.

ამასთან ერთად ახალ „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ სამტომეულთან შედარებით სიტყვა-სტატიის მოცულობა არაერთგზის გაზრდილიცაა (შდრ. воровать, двойник, карусельный, кнопка, королёк, корыто, костлявый და სხვ.).

სარეცენზიო ლექსიკონი გამართულია ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მითხოვნათა მიხედვით. მაგ., იყო „კაბინი, კაზარმა, კონტრაგენტი, ახლა არის კაბინა, ყაზარმა, კონტრაჰენტი“ (იხ. აგრეთვე სიტყვები: каёмка, капюшон, колба, карат და მრავალი სხვა.

გათვალისწინებულია თანამედროვე რუსული ორთოგრაფიის მითხოვნებიც: **грегорианский**-ს ნაცვლად არის **григорианский** (იხ. календарь); გვაქვს სიტყვა-სტატია **двухсменный**, წინათ კი იყო **двусменный**. (ასეთი ფორმით იყო შეტანილი დ. უშაკოვის ლექსიკონში).

2. სამეცნიერო ტერმინების თარგმნა

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ახალ ლექსიკონში არ არის შესული ვიწრო სპეციალური ტერმინები. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ენაში მრავალია ისეთი ტერმინიც, რაც საკმაოდ ხშირად იხმარება (განსაკუთრებით კი პრესაში). ზოგადი დანიშნულების ლექსიკონში ასეთი ტერმინები, ცხადია, უნდა შევიდეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან ერთად ცვლილებას განიცდის, ზუსტდება, იხვეწება სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია, ხოლო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში მომხდარი ცვლილებები უნდა აისახოს ახალ ლექსიკონშიც. ამის გამოა, რომ სარეცენზიო ლექსიკონში მრავალი ტერმინი ახლებურადაა თარგმნილი სათანადო დარგის ტერმინოლოგიების მონაცემთა გათვალისწინებით.

აქ ორგვარი ცვლილება შეინიშნება:

ა) ტერმინის შესატყვისად გამოყენებულია სულ სხვა სიტყვა. მაგალითები: **ბატალინი** შეუცვლია ღორიხვას (იხ. Гагара); **ჩხართვის** ნაცვლად გვაქვს მეთხილია (Кедровка. ჩხართვი — деряба); **ბარწუხა** შეცვალა ნისკარტმარწუხამ (Клёст); Коноплянка ადრე **ჭვინტად** იყო თარგმნილი, ახლა გვაქვს მეკანაფია (ჭვინტა — Чечётка);

ბ) სამტომეულში ცოტა როდი იყო ისეთი ტერმინი, რომელსაც ქართულად ორი (ზოგჯერ სამი) შესატყვისი ჰქონდა. ერთტომეულში ასეთ შემთხვევებში (სათანადო დარგის ტერმინოლოგების შესაბამისად) მხოლოდ ერთი, ყველაზე უფრო ზუსტი შესატყვისია დატოვებული. მაგალითად, **იყო** — Абсолютизм აბსოლუტიზმი, თვითმპყრობელობა, **არის** —აბსოლუტიზმი.

ყოველივე ეს მიღწეულია დიდი, ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგად. მაგრამ, როგორც ყოველივე დიდ საქმეს, ლექსიკონსაც აქვს ცალკეული ხარვეზები.

ლექსიკონზე ძალზე დიდი მოთხოვნილებაა და იგი, ეჭვს გარეშეა, ახლო მომავალშიც გამოვა. იმისათვის, რომ ერთტომეულმა ლექსიკონმა დააკმაყოფილოს მკითხველის გაზრდილი მოთხოვნილება, უკეთესი სამსახური გაუწიოს მას, საჭირო იქნება როგორც შემჩნეული ხარვეზების გამოსწორება, ისე მისი სრულყოფა, ანუ შესაძლებლობათა გამოყენება.

ამასთან დაკავშირებით, გვინდა მივაქციოთ სარედაქციო კოლეგიის ყურადღება შემდეგ საკითხებზე:

1. რუსული ლექსიკური ერთეულები ლექსიკონში, როგორც წესი, ადეკვატურად არის გადმოცემული. თარგმნისას მომარჯვებულია ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა, მისი თავისებურებანი, საკმაებლობანი და ა. შ., მაგრამ მათ გვერდით აქაიქ ვხვდებით ხელოვნურ ფორმებსაც, რომლებსაც არ იყენებენ არც ცოცხალ მეტყველებაში და არც მხატვრულ ლიტერატურასა და პერიოდიკაში. მაგ. **შეთავსებადობა** (совместимость), **გამოსადეგობა** (годность) და სხვ.

ასეთ შემთხვევებში აჯობებდა, ჩვენი აზრით, ან აღწერითი ფორმების გამოყენება (совместимость — შეთავსების შესაძლებლობა) ანდა ქართული სინონიმებიდან ყველაზე ბუნებრივი ვარიანტის ჩვენება (годность — ვარგისობა) და სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები არაა ფიქსირებული •რც „ქართული ენის

ცნობილ აფხაზ კომპოზიტორს, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს რაჟდენ გუმბას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს რუსეთის მწერლებთან და კომპოზიტორებთან.

ამ სურათზე აღბეჭდილია რაჟდენ გუმბა (მარცხნიდან მეორე) მეგობრებთან — პოეტ ბელა ახმადულინასთან, რუსეთის ხფსრ სახალხო არტისტთან, კომპოზიტორ ედუარდ კალმანოვსკისთან და სსრ კავშირის სახალხო არტისტთან, სახელმწიფო პრემიის ლაურეატთან, კომპოზიტორ როდიონ შჩედრინთან ერთად.

ი. ბოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„იაკობობა“ ცოდნის დღესასწაულია

გორი, 2 ოქტომბერი. (საქინფორმის კორ. რ. ცუცქირიძე). გორის რაიონის ათასობით მცხოვრები, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრები შეიკრიბნენ სოფელ ვარიანში ტრადიციულ დღესასწაულ „იაკობობაზე“, რომელიც მიეძღვნა დიდ ქართველ მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს.

„დედა ენის“ ავტორის მშობლიური სოფელი ვარიანი სადღესასწაულოდ არის მორთული. ქუჩებში გამოფენილია „დედა ენის“, „რუსკოე სლოვოს“, „ბუნების კარის“ ილუსტრაციები. სახლების ფასადებს ამშვენებს წარწერები იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით: „ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი ძალები და ცოდნა ეკუთვნის ჩემს სამშობლოს“... „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენა. სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენი ხალხის სრულ სიმპათიას“...

ღია ცის ქვეშ ნამდვილი ეთნოგრაფიული მუზეუმია. თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ ხალხური ოსტატები, რაიონის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მოსწავლეები.

ვარიანში სახალხო დღესასწაულში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონისა და ესტონეთის სსრ რესპუბლიკის რაპლის რაიონის სოფელ კაიუს კოლმეურნეობის დელეგაციები, რომელთა შრომითი კოლექტივები ეჯიბრებიან გორის რაიონის შრომითს კოლექტივებს, საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა — თათრეთის ასს რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიის ინსტრუმენტიანი ანსამბლი რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის, საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, თათრეთის ასსრ გ. ტუკაის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის რენატ იბრაგიმოვის ხელმძღვანელობით.

სტუმრებმა დაათვალიერეს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელსაც წელს შეემატა ახალი ექსპონატები — ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ცხოვრებისა და საზოგადო მოღვაწეობის ამსახველი ფოტოდოკუმენტები და მასალები.

სახალხო დღესასწაულის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე რ. ჯავახიშვილი, შინდისის საშუალო სკოლის პედაგოგი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. სამნიაშვილი, რამენსკოეს საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. ივანოვი, ესტონეთის სსრ რაპლის რაიონის სოფელ კაიუს კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი კ. ტოომე და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდისათვის ი. გოგებაშვილის შემოქმედების მნიშვნელობაზე.

სახალხო დღესასწაული „იაკობობა“ დაამშვენა საქართველოში რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. მკერვალიძის, გორის რაიონის მხატვრული კოლექტივების გამოსვლებმა.

ამინდი

როგორი იქნება ოქტომბერი?

როგორც ცნობილია, ოქტომბერში დღის ხანგრძლივობა სწრაფად იკლებს. მრავალწლიური მოხაცემებით, ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა საქართველოში სეტქმბერთან შედარებით 3-7 გრადუსით ნაკლებია. დასავლეთ საქართველოს ბარში იგი მერყეობს 15-17 გრადუსის ფარგლებში, ქართლის ვაკესა და კახეთში — 10-დან 15, მთაში 9-დან 14 გრადუსამდე, მაგრამ ცალკეულ წლებში იგი ამ ნორმისაგან ხშირად განსხვავდება ხოლმე. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ყველაზე ცივი ოქტომბერი იყო 1965 და 1977 წლებში, ხოლო ყველაზე თბილი — 1972 და 1974 წლებში.

ოქტომბერში ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი ბარში აღწევს 27-32, ზოგან 35 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი კი იკლებს კოლხეთის დაბლობზე 3 გრადუს ყინვამდე, ხოლო ქართლის ვაკესა და კახეთში — 1-7 გრადუს ყინვამდე.

ოქტომბერში საქართველოში ნამდვილი ოქრის შემოდგომაა, ამ დროს კრიფენ ყურძენს, საგვიანო ჯიშების ვაშლსა და მსხალს, მიმდინარეობს აგრეთვე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ამიტომაც ამინდის ხასიათს ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, წელს ოქტომბერში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია ნორმაზე დაბალი, ზოგან ნორმასთან ახლოს.

თვის მეორე ნახევარში მოსალოდნელია ტემპერატურის დაკლება — ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 4-9 გრადუსამდე, ქართლის ვაკეზე და კახეთში მინუს 2 — პლუს 3, მთაში მინუს 4 — პლუს 1 გრადუსამდე.

ნალექების თვიური რაოდენობა დასავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიან რაიონებში და კახეთის ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ნორმაზე მეტი, დანარჩენ რაიონებში — ნორმაზე ნაკლები, ზოგან ნორმასთან ახლოს (ნორმა: დასავლეთ საქართველოში 100-170 მმ, სამხრეთ რაიონებში — 300 მმ-მდე, აღმოსავლეთ საქართველოში — 30-80 მმ).

ნ. ბერაძე,
ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

ციგვომბორიდან სიმღერით...

სოჩარედ ახლა — ზეიმის დღეებში საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაციები უფრო და უფრო ხშირი სტუმრები არიან ქალაქ გეორგიევსკისა.

და აი, ამ დღეებში თელაველი მედიცინის მუშაკებიც ესტუმრნენ გეორგიევსკს, სადაც რაისაავადმყოფოსთან არსებულმა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელმა გუნდმა კონცერტები გაუმართა მასპინძლებს, ანსამბლის აკომპანიატორები იყნენენ თელაველ ბავშვთა ქართული ხალხური საკრავების დამკვრელი გუნდის წევრები. განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ ბოლო კონცერტი, რომელიც თელაველებმა ღია ცის ქვეშ, ქალაქის ცენტრალური საავადმყოფოს ეზოში გამართეს.

...„ციგვომბორიდან სიმღერით“... ფინდაზოვით მოეფინა აქურობას იოსებ ნონაშვილის ტექსტზე შესრულებული ეს ყველასათვის ნაცნობი და მახლობელი სიმღერა.

მყისვე გაჩაღდა საცეკვაო, სტუმრებთან ერთად მასპინძლებიც აცეკვდნენ. ეს სახელდახელო კონცერტი ჭეშმარიტი დემონსტრაცია გახდა ორი ხალხის ხალხური შემოქმედებისა. და ყოველივე ამას განცვიფრებულნი ადევნებდნენ თვალს კუბელი სტუდენტი გოგონები — ალინა კასტილიო და ტერეზა ფრომეტი, რომლებიც საწყობო პრაქტიკას გადიან თურმე გეორგიევსკის საკონსერვო ქარხანაში. ერთმა მათგანმა გულწრფელად განაცხადა: ასეთი რამ არასად მინახავს, რა კარგია, ასე რომ გიყვართ ერთმანეთი.

შ. შარაშიძე.
გეორგიევსკი-თელავი.

ყაბალი

ნახევარფინალური მატჩები გათამაშდება

მანილა, 4 ოქტომბერი. (საქდესი). ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის 54-ე კონგრესზე საშმაბთა ფიდეს ცენტრალური კომიტეტის დილის სხდომაზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა გამოაცხადა, რომ შეცვალა თავისი თავდაპირველი გადაწყვეტილება დამარცხება ჩათვლოდა საბჭოთა დიდოსტატებს გ. კასპაროვსა და ვ. სმისლოვს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის ნახევარფინალური მატჩები მათი მონაწილეობით შედგება. ფ. კამპომანესმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს დაუყოვნებლივ შეუდგეს კასპაროვ-კორჩნოისა და რიბლი-სმისლოვის მატჩებისათვის მზადებას, რათა ისინი მოეწყოს წელს.

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე შეიტანეს საკითხი 1984 წელს ფიდეს ძირითადი შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ. წამოიჭრა დისკუსია მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების ორწლიანი ციკლის შემოღების წინადადების თაობაზე. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონებმა ა. კარპოვმა და მ. ჩიბურდანიძემ მხარი დაუჭიროს ახლანდელ სამწლიან ციკლს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲝᲠᲘ ტურიც, და დამთავრდება რეგბისტთა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. დღეისთვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის „ლოკომოტივი“ და მოსკოვის „ფილი“ — 61-61 ქულა, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-სპორტი აკადემიის გუნდი — 55, მოსკოვის „სლავა“ — 54, კიევის „ავიატორი“ — 47, ქუთაისის „სახლმშენი“ — 42, ლენინგრადის „პრომორეცი“ — 37, თბილისის „ლოკომოტივი“ — 36 ქულა.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ზაგრების გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, ნიკშიჩის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ ახალგაზრდა დიდოსტატმა კასპაროვმა მთელი 20 ქულით გაუმჯობესა თავისი პირადი კოეფიციენტი და ამ მხრივ დაიწია მსოფლიო ჩემპიონს კარპოვს. ახლა კარპოვსა და კასპაროვს ძალიან მაღალი კოეფიციენტი აქვთ — 2710-2710.

ᲐᲛ დღეებში ტილბურგში (ჰოლანდია) იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი რომელსაც ყოველ შემოდგომაზე აწყობს ამ ქვეყნის საჭადრაკო ფედერაცია. საბჭოთა კავშირიდან ამ შეჯიბრებში, რომელშიც ჩვეულებრივ 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს ხოლმე, ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონი კარპოვი, პოლუგაევსკი და ვაჰანიანი.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მოგზაურთა კლუბი. 10.20 — მხატვრული ტელეფილმი „დარტანიანი და სამი მუშკეტერი“. III სერია. 11.30 — ხალხური მელოდიები. 11.45 — დოკუმენტური ფილმები. 12.30; 15.30 და 17.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები „ოთხმოციანის კომუნისტები“. 16.45 — გამოგვეხმაურეთ, მეუკეანენ! 17.35 — რუსული ენა. 18.05 — ახალგაზრდების მისამართები. 18.35 — მულტფილმი. 18.45 — ადამიანი მიწის ბატონ-პატრონია. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ფეხბურთი. საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. 21.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — გაშალეთ წრე! 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ტელეფილმი „გობელენის სამყაროში“. 9.35 და 10.35 — საზოგადოებათმცოდნეობა. X კლასი. „სკკპ მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის პარტიაა“. 10.05 და 14.15 — გერმანული ენა. 11.05 — ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება. 11.35 და 12.40 — ნ. ვ. გოგოლი. „ტარას ბულბა“. VI კლასი. 12.05 — თქვენთვის, მშობლებო! 13.10 — ასტრონომია. 13.40 — იცი თუ არა კანონი? 14.45 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. „ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები“. 15.25 — ტელენარკვევი „ხალხი მადლიერია“. 15.55 — ა. ბ. გორკი. „ნარკვევები ამერიკის შესახებ“. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ი. ბრამსის კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის. 20.00 — მოსწავლეთა შეხვედრა ნიკოლაევის ოლქის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ნ. ნ. რიაბოშაპკასთან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „ცისარტყელა“. „ფიესტა“ (ფილიპინები). 21.30 — დოკუმენტური ტელეფილმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „შენი ხელების სითბო“. 23.50 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოში“ (საინფორმაციო გამოშვება). 9.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ბავშვობის ტბა“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დადგმა „გამარჯობათ, ჩვენო მამებო!“ 11.50 — კამერული მუსიკის კონცერტი. 12.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კამჩატკის მერიდი